

# SIC! ქართველი ხალხისგან მოკულაბული, იმედგადასურული ნაციონალური ახლა დასავლეთის მოტყუებაში ხელავენ ხსნას!

## საქართველო



იმისთანა წმინდა საძმეში, ბეგბინც ბეჭდ-  
ვები სიფყვას, ცუდილებით და ჭაბუბით ბუბ-  
თის გაცვანა ყველა უკადრისმბაგე უსაბაგლესია.

ბაგორდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 15-16 თებერვალი. 2020 წ. №28 (8954)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი



**საქართველოს სიფყვილია და განვითარების მტრები!**

## ოპოზიცია პუდვიპად ჩასაფრებულია!



**შესაძლებელია  
თუ არა  
საქართველოსა  
და ოკუპირებულ  
რეგიონებს  
შორის  
განსხვავებული  
ურთიერთობა?**

ბიუჯეტლელიტიზის ძვეყანა

## უფუფევირებს მუშაობა არ სურთ!

სოსიალურად დაუსვლელების  
ფორუმზე 17 ათასი ვაკანსია  
იყო გამოტანილი და  
დასაქმდა 167 ადამიანი!



**ემპთიბე ღვთისკაცის  
ნიჭის ახალი  
გამობრწყინება**

**ჯემალ აჯიაშვილის  
სიტყვის ენერჯია**



## ბიორბი ბახარია და პენტაგონის ხელმძღვანელები აშუ- საქართველოს ნაკრებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი გუშინ მი-  
უნხენის უსაფრთხოების 56-ე კონფერენციაზე ამერიკის შეერთებუ-  
ლი შტატების თავდაცვის მდივან მარკ ესპერთან შეხვედრით და-  
იწყო. საუბრისას ხაზი გაესვა აშშ-საქართველოს წარმატებულ ორ-  
მხრივ თანამშრომლობას თავდაცვის სფეროში და ამერიკის მნიშე-  
ნელოვან მხარდაჭერას თავდაცვის რეფორმის განხორციელებისა  
და უსაფრთხოების კუთხით. ხაზი გაესვა საქართველოს თავდაცვი-  
თი შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობას, განსაკუთრე-  
ბით რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

აღინიშნა, რომ სტრატეგიული პარტნიორობისა და უსაფ-  
რთხოების სფეროში ერთობლივი ძალისხმევის წარმატების შე-  
დეგია ის, რომ არსებობს უსაფრთხოების თანამშრომლობის  
ჩარჩო, ასევე საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის  
პროგრამა, საბრძოლო სას-  
ნაველო ცენტრი და ხორცი-  
ელდება ინსტიტუციური  
რეფორმები, რომლებიც მი-  
მართულია ქვეყნის თავ-  
დაცვითი შესაძლებლობე-  
ბის გაძლიერებისკენ. სა-  
ქართველოს პრემიერ-მი-  
ნისტრმა პენტაგონის  
ხელმძღვანელს თავდაცვის  
სფეროში საქართველოს  
მნიშვნელოვანი ფინანსური  
მხარდაჭერისთვის მადლო-  
ბა გადაუხადა და განაცხადა, რომ მთავრობა კვლავაც ერთ-  
გულია ძალისხმევისა, თავდაცვის სფეროზე, ნატოს სტანდარ-  
ტების შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის 2% მიიმარ-  
თოს, ხოლო თავდაცვის ბიუჯეტის 20%-მდე ინფრასტრუქტურ-  
რისა და შესაძლებლობის მოდერნიზებას მოხმარდეს.



## საქართველოს მადლობელი პარტი!

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანი  
მარკ ესპერი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახა-  
რიასთან გამართულ შეხვედრას, რომელიც მიუნხენის უსაფ-  
რთხოების რიგით 56-ე კონფერენციის ფარგლებში შედგა, სო-  
ციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.

აშშ-ის თავდაცვის მდივანი ხაზს უსვამს, რომ შეერთებული შტა-  
ტები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და  
სუვერენიტეტს. მარკ ესპერი მადლობას უხდის საქართველოს –  
გლობალური უსაფრთხოების სფეროში შეტანილი მრავალჯერადი  
წვლილისთვის.

# გიორგი ბახარია ფაქტუ ბენსუღას ესაუბრა

2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე მიმდინარე გამოძიებაზე ისაუბრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბახარიამ და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფაქტუ ბენსუღამ შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გაიმართა.

საუბრისას აღინიშნა ქართული მხარის ნაყოფიერი თანამშრომლობა პროკურორის ოფისთან, რათა დეტალურად



იყოს გამოძიებული ქართული მხარისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, როგორებიცაა ქართველების ეთნიკური წმენდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ქართველი სამ-

ხედრო ტყვეების წამება და წამების შედეგად დამდგარი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა აღნიშნა გამოძიებაში არსებუ-

ლი პროგრესი და ყურადღება გაამახვილა იმ ძალიან დიდ ძალისხმევაზე, რომლის განვითარება მის გამოძიებებს უხდებოდა, რათა გამოძიება კიდევ უფრო ნაყოფიერად და სწრაფი ტემპით წარიმართოს.

ქართულმა მხარემ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, მომავალშიც განაგრძოს პროკურორის ოფისთან თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს მას აგვისტოს ომის დროს ეთნიკური ქართველების უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტების წარმატებით გამოძიების პროცესში.

შეხვედრას საქართველოს ვიცე-პრემიერი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი დაესწრნენ.

## არჩილ თალაკვაძე:

### მარია ზახაროვას განცხადება თუ თვალთმაქცობა არ არის, მაშინ დააბრუნონ ოკუპირებული ტერიტორიები



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს პასუხობს. არჩილ თალაკვაძის თქმით, თუ ეს ცარიელი სიტყვები და თვალთმაქცობა არ არის, მაშინ, პირველ რიგში, ოკუპირებული ტერიტორიები დააბრუნონ.

„ქალბატონ ზახაროვას და ასევე იმ ადამიანებს, ვისაც ზახაროვა წარმოადგენს, მინდა, ვუპასუხო — თუ მათი სიტყვები, რომ საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო, არ არის ცარიელი სიტყვები და თვალთმაქცობა, მაშინ, პირველ რიგში, დააბრუნონ ოკუპირებული ტერიტორიები და გაიყვანონ საკუთარი ჯარისკაცები ჩვენი რეგიონებიდან“, — განუცხადა თალაკვაძემ ჟურნალისტებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ 13 თებერვალს განაცხადა, რომ დისკუსიას იმის თაობაზე, თუ ვინ წარმოადგენს თბილისში რუსეთს ევროპის საბჭოს მინისტრულ ჯგუფში, პროკურორები თავიანთი ვიწრო ინტერესებისთვის იყენებენ.

### უზრებ აბაშიძე: საქართველო სუვერენული ქვეყანაა და მის კანონმდებლობას ყველამ პატივი უნდა სცას

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის უ-

ზრებ აბაშიძის განცხადებით, არ აქვთ ინფორმაცია, თუ ვინ უხელმძღვანელებს რუსეთის ფედერაციის დელეგაციას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე, რომლის გამართვაც მაისში თბილისში იგეგმება.

მისივე თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს, მუდმივ კავშირშია ევროპის საბჭოს შესაბამის სტრუქტურებთან და ყველა საკითხი მოგვარდება. ზურაბ აბაშიძის განმარტებით, ევროპის საბჭოში საქართველოს თავმჯდომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყანა ვალდებულია, შეასრულოს ყველა ის საერთაშორისო სტანდარტი, რომელსაც აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს.

„ჩვენ ვერ არ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ უხელმძღვანელებს რუსეთის ფედერაციის დელეგაციას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მაისში გაიმართება თბილისში. ჩვენი საგარეო უწყება ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. მუდმივად კავშირშია ევროპის საბჭოს შესაბამის სტრუქტურებთან და ვფიქრობ, რომ მაისამდე საკმაოდ ბევრი დროა დარჩენილი და ყველა საკითხი მოგვარდება. საქართველო წელს თავმჯდომარე ქვეყანაა ევროპის საბჭოში. ეს დიდი პატივიცაა და დიდი ვალდებულებაც. ჩვენ უნდა შევასრულოთ ყველა ის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც დაწესებულია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებით“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.



### ანრი მხანაშვილი: ოპოზიციის მონაწილეობა, რომ სახელმწიფოს წინაშე სურს უზრუნველყოფა

ის ოპოზიციური ჯგუფები, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერა არ გააჩნიათ და აქვთ ძალიან დაბალი რეიტინგი, თითქმის არც აქვთ, ისინი წინასწარჩვენო კამპანიას საზღვარგარეთ ატარებენ და ცდი-

ლობენ, ჩვენი პარტიის რეპრეზენტებში შეიყვანონ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს პარტიონებს ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია მივანოდოთ, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი მხანაშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, ოპოზიციის მონაწილეობა, რომ სახელმწიფოს იმიჯს საფრთხე შეუქმნას, „ოპოზიციის მონაწილეობა, საკუთარი ვინაობის გამო იმაზე წავიდეს, რომ სახელმწიფოს იმიჯს საფრთხე შეუქმნას, მაგრამ ჩვენ მათ ამის საშუალებას არ მივცემთ“, — განაცხადა მხანაშვილმა.

### პრემიერმა მარგველაშვილის მიერ პეტროვის დაღუპვა ბრძოლას უფრო ჰგავს, მისი დაკლვა კი სიბრძნის უპირატესობა იყო!

„მარგველაშვილის და კვირიკაშვილის პოლიტიკაში ყოფნა ნანახი მაქვს და ისიც ვნახე, რისი თავი აქვთ ამ ადამიანებს“, — ასე აფასებს პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი დავით ჭიჭინაძე გიორგი მარგველაშვილისა და გიორგი კვირიკაშვილის ქართულ პოლიტიკაში სავარაუდო დაბრუნებას.

„არც მარგველაშვილი და არც კვირიკაშვილი ქვეყნის სასიკეთოდ არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. შეგიძლიათ, ნახოთ მათი განვლილი გზა და დაასახელოთ თუნდაც ერთი კარგი რამ გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოადგება. ხოლო თუ მარგველაშვილს „ქართულ ოცნებასთან“ გარიგება არ ჰქონდა, რატომ თქვა უარი მეორე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, მითუმეტეს, რომ ოპოზიციის მხარდაჭერას ჰპირდებოდა?!

მოკლედ, მე არც ერთი კრიტიკული მომენტი არ მახსოვს, როდესაც მან „ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგობა გაუწია. ის, რომ ვეტოებს ადგება რადიკალურად, ეს გართობას უფრო ჰგავს, რადგან მაშინ „ოცნებას“ დეპუტატების იმხელა რესურსი ჰქონდა, რომ ვეტოს დაძლევა სერიის ყურება იყო, მეტი არაფერი“, — აცხადებს დავით ჭიჭინაძე. მედიაში გაგრძელებული ინფორმაციების მიხედვით, ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი პოლიტიკაში ბრუნდებიან.

### ინფორმაციის საპროექტო უზრუნველყოფის უზრუნველყოფის ფულადი გზავნილი რუსეთიდან შეპოვიდა

2020 წლის იანვარში საქართველოში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი — 26,17 მილიონი დოლარი რუსეთიდან განხორციელდა. ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, 2020 წლის იანვარში საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 125,6 მილიონი დოლარი (362,2 მილიონი ლარი) შეადგინა, რაც 86 პროცენტით მეტია 2019 წლის იანვრის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 21,06 მილიონი დოლარის ოდენობის გზავნილი განხორციელდა იტალიიდან, საბერძნეთიდან — 14,87 მილიონი დოლარი. ჯამში კი ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში 52,45 მილიონი დოლარი გადმოირიცხა. ამავე დროს, აშშ-დან 13,56 მილიონი დოლარის ფულადი გზავნილები განხორციელდა.

2020 წლის იანვარში საქართველოდან საზღვარგარეთ 18,5 მილიონი დოლარი (53,2 მილიონი ლარი) გადაიგზავნა, რაც 2019 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 19,1 პროცენტით მეტია.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცხინვალის ავთორიტეტიდან ქართული წარმოების მედიკამენტები ამოიღეს. ამ მოქმედებებს საფუძვლად დაედო მთავრობის დადგენილება, რომელიც კრძალავს არა მხოლოდ მედიკამენტების, არამედ ყველაწარმოების ქართული პროდუქტის გაყიდვას თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. ყველაზე გავრცელებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ყოფილი პრეზიდენტი ტატიანა ლეონიდა თბილისში გააჩივრდა. თავისი პრეზიდენტობის პერიოდში მან გასცა ცხინვალის მალაზიებიდან ქართული ღვინის და მინერალური წყლების ამოღების ბრძანება და განაცხადა — „ჩვენ არ შევუწყობთ ხელს მტრული სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას“.

როგორც ამბობენ ცხინვალში მოსახლეობას ექიმები ხშირად ქართული მედიკამენტების შესყიდვას დაბალი ფასის და მაღალი ხარისხის გამო ურჩევენ. ადგილობრივი ექიმების გათვალისწინებით, ქართულ მედიკამენტებს ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზრის 20% უჭირავს და ამას ვერანაირი აკრძალვა ვერ ცვლის.

ქართული ფარმაცევტული პროდუქ-

### ცხინვალში ქართულ მედიკამენტებს ებრძვიან!

ცხინვალში სხვადასხვა გზით შედის. როდესაც ღია იყო ახალგორის რაიონის გამშვები პუნქტი „რაზდაზანი“, ამ გზით, შემდეგ, როდესაც ეს გადასასვლელი დაიხურა — მედიკამენტების ნაკადი ჩრდილოეთ ოსეთის გავლით წავიდა. შემდეგ გაიხსნა ახალი გამშვები პუნქტი „სინაგური“, რის შემდეგაც ქართული პროდუქტების ტრავიკი გაიზარდა, რასაც რეპრესიული ზომების გააქტიურება მოჰყვა.

სხვათაშორის, იანვარში შსს თანამშრომლებმა მედიკამენტების გარდა ისევ ამოიღეს ცხინვალის სავაჭრო ქსელებიდან ქართული ღვინო და მინერალური წყლები. მედიკამენტების შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე საქმელ-სასმელთან, რადგანაც ისინი იყიდება არა მხოლოდ სავაჭრო წერტილებში, არამედ ხელზე. მაგალითად, ბევრი ცხინვალელი, ვისაც ანუხებს კუჭის დაავადებები, უპირატესობას ანიჭებს ქართულ „ომეზს“, რადგანაც ის რუსულზე იაფია და ამავე დროს საკმაოდ ხარისხიანი. ცხინვალში საქართველოდან შემო-

ული ყველა პრეპარატი არაა ადგილობრივი წარმოების. მათ შორის არის ჩვეულებრივი იმპორტული პრეპარატები ქართულ წარწერებით, თუმცა, ისინიც დარტყმის ქვეშ მოხვდნენ. სქემა მუშაობს შემდეგნაირად — ცხინვალელი ავთორიტეტი ან დილერი ყიდულობს მედიკამენტებს საქართველოში. შემდეგ პროდუქტია სამხრეთ ოსეთში ყოველგვარი კონტროლის გარეშე შემოაქვს. ადგილობრივი ექიმები, თავისი გამოცდილებიდან და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, ადგენენ რომელი პრეპარატი არის უფრო ეფექტური და მას პაციენტებს უნიშნავენ. ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ დეკლარირებული ბრძოლა შედარებით გაართულა პროდუქტის გადატანის პროცესში. თუმცა, ის მაინც არ შეფერხდა — ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, კორუფცია ჯერ არავის გაუფრთხილებია.

თანაც, საქართველოდან ცხინვალში სხვადასხვა საქონელი შემოაქვს ბევრ ადგილობრივ მაღალჩინოსანს, მათ კი პრობლემა არასდროს უჩნდებათ.

თამაზ აბლოთია



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ადმინისტრაციას და მეცნიერ-თანამშრომლებს შეხვდა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ობსერვატორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ყველა მეცნიერ-თანამშრომელთან კომუნიკაციასა და შეთანხმების გზით მიმდინარეობს.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ სამინისტროს პოლიტიკაა აბასთუმნის

მეცნიერო საბჭოს ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება უმაღლესი ლეგიტიმაციისა და ავტონომიის მქონე ორგანო და პასუხისმგებელი ობსერვატორიის შემდგომ განვითარებაზე.

მისი განმარტებით, სამეცნიერო საბჭო განსაზღვრავს აბასთუმნის ობსერვატორიის ნიშასა და როლს მსოფლიო მასშტაბით, რის საფუძველზეც მოხდება მისი ტექნიკური აღჭურვა, მოდერნი-

კურსის გამჭვირვალე და ობიექტურად ჩაბარებას უზრუნველყოფენ.

განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ აბასთუმნის ობსერვატორია, როგორც სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხელმისაწვდომი გახდება ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო ორგანიზაციისთვის, მეცნიერებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისათვის რო-

გორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისი მემორანდუმის საფუძველზე უნივერსიტეტებს ექნებათ შესაძლებლობა, სასწავლო პროცესში გამოიყენონ ობსერვატორიის რესურსები.

შეხვედრის დასასრულს ნუნუ მიცკევიჩმა ხაზი გაუსვა, რომ ობსერვატორიის განვითარება იქნება საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, რომელსაც სხვა კვლევითი დაწესებულებებიც გაიზიარებენ.

ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე 80 წელზე მეტია, უწყვეტი მეცნიერული კვლევები და ასტრონომიული დაკვირვებები მიმდინარეობს.

## აბასთუმნის ობსერვატორიის მმართველი ორგანო სამეცნიერო საბჭო იქნება

ობსერვატორიის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო დაწესებულების განვითარების ხელშეწყობა, ხარისხის ამაღლება და გლობალურ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების გაძლიერება.

ნუნუ მიცკევიჩის თქმით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება გაზრდის აბასთუმნის ობსერვატორიის ავტონომიურობის ხარისხს. სამინისტროს მისიაა, რეორგანიზაციის პროცესში ხელი შეუწყოს ობსერვატორიის მთავარი მმართველი ორგანოს – სა-

ზაცია და განვითარება აკადემიური მიმართულებით. ასევე საბჭო წარმართავს ყველა პროცესს, რომელიც აბასთუმნის ობსერვატორიის ინფრასტრუქტურული განვითარებისკენ იქნება მიმართული.

როგორც ნუნუ მიცკევიჩმა აღნიშნა, დამტკიცებული საშუალო განრიგის საფუძველზე პირველ ეტაპზე კონკურსები გამოცხადდება მთავარი მეცნიერ-თანამშრომლების შესარჩევად. საკონკურსო კომისია კი დაკომპლექტდება მაღალი ნდობის მქონე პროფესიონალი მეცნიერებით, რომლებიც კონ-



## პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში 16 500-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა



პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში 16 500-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ წლიური ანგარიშისა და სამომავლო გეგმების პრეზენტაციაზე განაცხადა.

მინისტრის შეფასებით, საერთო ჯამში, 2019 წელი პოზიტიური იყო საქართველოს ეკონომიკისთვის.

„ჩვენი ეკონომიკა, მიუხედავად შიდა თუ გარე გამოწვევებისა და პრობლემებისა, გაიზარდა მსაღიანდელზე მაღალი ტემპით და ამ ნიშნით საქართველო უსწრებს რეგიონის მრავალ ქვეყანას. განსაკუთრებით დადებითად ვითარდებოდა ექსპორტი, რომელიც ასევე მაღალი ტემპით გაიზარდა. ამ ეკონომიკურ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ბენეფიციარებმა, იმ სანარმოებმა, რომლებმაც პროგრამის დახმარებით შეძლეს ამოქმედება, თავისი პროდუქციის ექსპორტზე გატანა თუ ადგილობრივი ბაზრისთვის შეთავაზება“, – აღნიშნა მინისტრმა პრეზენტაციაზე.

## ქართული თაფლი ევროპის ბაზრის დასაპყრობად ემზადება

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2019 წელს თაფლის 100-მდე ნიმუში აიღო და გამოსაკვლევად ლაბის სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და გარემოს ინსტიტუტის ლაბორატორიაში გადააგზავნა. თაფლის ნიმუშების ანალიზმა წელს საუკეთესო შედეგი აჩვენა, გაგზავნილი 100 ნიმუშიდან მხოლოდ 8%-ში აღმოჩნდა აკრძალული ანტიბიოტიკების ნარჩენები, მაშინ როდესაც ეს რიცხვი გასულ წელს 54%-ს აღწევდა.

იმერეთი, შიდა ქართლი, სამცხე ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი და გურია – ეს იმ რეგიონების ჩამონათვალია, სადაც აკრძალული ანტიბიოტიკების ნარჩენები არ აღმოჩნდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბიბა მიძამა „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ დადებითი ტენდენცია მეფუტკრე ფერმერებთან მუდმივი კომუნიკაციის შედეგია. მისი თქმით, პრეპარატების გამოყენების წესებთან დაკავშირებით ჩატარდა არაერთი ტრენინგი. როგორც მიქაძე განმარტავს, მეფუტკრეებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ თაფლში აკრძალულ ნივთიერებებს, რომლებიც ევროკავშირის სტანდარტით, მკაცრად არის განკარგული.

თაფლის ნიმუშების კვლევის შედეგებით კმაყოფილია საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების თავმჯდომარე ალექსი პაპავა. მისი თქმით, მიღებული შედეგები ქართულ თაფლს დაეხმარება, ევროპის ბაზარზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს.

„2019 წელს თაფლის 9 ნიმუში რომ აღმოჩნდა დანაგვიანებული, ეს დიდი წინსვლა და წარმატებაა. ამ მაჩვენებლით ჩვენ იტალიის მაჩვენებელსაც გადავუსწარით. მიღებული შედეგები ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მიერ წარმოებული თაფლი არის უსაფრთხო. ჩვენ დავინყეთ იმის გარკვევა, თუ როგორ მოხდა იმ 9 პროცენტის დანაგვიანება, ვის და რატომ შეეჭნა პრობლემა.“

მიღებულ შედეგში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებას თავისი ინფორმაციებით, ბუკლეტებით, რომელიც მეფუტკრეს უხსნიდა, თუ როგორ, რა დროსა და გამოყენების ნიათ. მნიშვნელოვანი იყო მედია ჩართულობა, აბსოლუტურად ყველაფერმა იმოქმედა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მუშაობით ჯამში დადებითი შედეგი მოგვიტანა“, – აცხადებს ალექსი პაპავა.

ალექსი პაპავა ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში ქართულ თაფლს ხარისხთან დაკავშირებით, პრობლემები აღარ ექნება, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება თაფლის წარმოება, მნიშვნელოვნად 2 000 ტონიდან 20 000 ტონამდე გაიზარდოს.

„როდესაც გერმანელებთან გვექონდა შეხვედრა, გვითხრეს, რომ ჩვენ უმაღლესი ხარისხის თაფლი გვაქვს, მაგრამ გვაქვს პრობლემები ანტიბიოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით, თუ ამ პრობლემას აღმოვფხვრიდით, განვიცხადებ, რომ სრულად შეისყიდინენ ქართულ თაფლს. საუბარია, კვლავ, კონკრეტულად, 400 ტონაზე, რომელიც ევროკავშირისთვის და ამ დარგში ინვესტიციისთვის“, – განმარტავს ალექსი პაპავა. რეგიონების მიხედვით დარღვევები ასე გადანაწილდა: აჭარა – 3 დარღვევა, სამეგრელო – 2 დარღვევა, თბილისი – 1 დარღვევა, რაჭა – 1 დარღვევა, კახეთი – 1 დარღვევა.

ბაჩო ადამია

## ნათია თურნავა: ფოთის პორტის გვჭირდება და ანაკლიისას!

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთი თვე აქვს იმისთვის, რომ ფოთში ახალი, ღრმანყოფანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით, მინათსარგებლობის ნებართვასთან დაკავშირებით „ეიპიემ ტერმინალს ფოთის“ მიმართვა განხილოს, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

მისი თქმით, გადამწყვეტილება განხილვის შემდეგ მიიღება. „ეიპიემ ტერმინალსმა“, რომელიც არის ფოთის პორტის მმართველი, სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციას მიმართა მინათსარგებლობის უფლების მოპოვებაზე, რაც სამშენებლო ნებართვის მოპოვების

პროცესის სანყის ეტაპია. ჩვენ გვაქვს ერთი თვე, რომ განვიხილოთ პროექტი და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. ჯერჯერობით არაფერი გადასცემიათ, მაგრამ მინდა, გითხრათ, ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს ჩვენი საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ამასთან, როგორც მინისტრმა აღნიშნა, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ შეფასება იმის შესახებ, რამდენი პორტი სჭირდება საქართველოს, დამაჯერებელი არ არის.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ერთი პორტიც ვერ ააშენა, რაც სატენდერო პირობებითა და კონტრაქტით ევალებოდა. აქედან გამომდინარე,

მათი შეფასება და მსჯელობა, რამდენი პორტი სჭირდება საქართველოს, ჩვენთვის არ არის დამაჯერებელი. საქართველოს სჭირდება იმდენი პორტი, რამდენსაც გადაწყვეტს ბიზნესი და დღეს ბიზნესი განიცდის აღმავლობას, იზრდება ტვირთების მოცულობა, მათ შორის საკონტინერო ტვირთების გადამუშავება 40 პროცენტზე მეტი იყო გასულ წელს გაზრდილი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეიძლება, არაერთი პორტი იყოს მზარდაქერილი“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

მინისტრის თქმით, ანაკლიაში ღრმანყოფანი პორტის პროექტზე ახალი ტენდერი ახლო მომავალში გამოცხადდება.





2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ პარტიის დატოვება, მიხეილ სააკაშვილის მიერ შტაბის შექმნა და გიგი უგულავას დაპატიმრება – ეს ის თემებია, რაზეც ანალიტიკოსმა ამირან სალუქვაძემ „რეპორტიორთან“ ინტერვიუში ისაუბრა.

– მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ახალ სახეობთან ერთად პირველი მარტიდან ქმნის პირად შტაბს. თქვენი აზრით, ვინ იგულისხმება ახალ სახეობში, ვინ შეიძლება მის გვერდით დადგეს?

– პირველ რიგში დადგებიან „ნაციონალური მოძრაობა“ და ის აქტივისტები, რომლებიც ბოლო თვეების განმავლობაში საპროტესტო აქციებში იყვნენ ჩართულნი. ახალი სახეობიც, ალბათ, ამ საპროტესტო ტალღის წარმომადგენლებიდან იქნებიან. ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩანდნენ სხვადასხვა აქციებზე, ვინც მასთან ჩადიოდა კიევში. ამ ხალხიდან იქნება ამორჩეული. თუმცა, ეს არის ხელოვნური განახლება. ალბათ, ვიხილავთ „ძალა ერთობაშია“-ს პარტიებსაც. პრობლემა ისაა, რომ პოლიტიკური სპექტრი ბუნებრივად არ ვითარდება. მიხეილ სააკაშვილი კი ამბობს, რომ ახალ სახეობს გამოაჩენს, მაგრამ, თუ ღირებულებებს არ გადახედს და საკუთარი შეცდომები არ გაიზარებს, მონიანი, თუ ხალხის განწყობები არ გაითვალისწინებს, ძველი ლიდერის ქვეშ გაერთიანებული ახალი რამდენიმე სახე მხოლოდ პოპულიზმი, ცვლილებების ილუზია იქნება და შედეგს არ მოუტანს. რამდენიმე თვე დარჩა არჩევნებამდე და დროც აღარაა, სერიოზული განახლებები ვიხილოთ.

– ვანო მერაბიშვილი 20 თებერვალს ციხეს ტოვებს, მიხეილ სააკაშვილმა მას ურჩია, ოჯახს დაბრუნებოდა, ემოგზაურა და შემდეგ მიელორაიმე გადამწყვეტილება, ვანოს შეცდომებზეც ისაუბრა. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილისგან მერაბიშვილის დადანაშაულება სწორი იყო?

– მისი მხრიდან მერაბიშვილის მხოლოდ დადანაშაულება არასწორი იყო, თორემ მერაბიშვილი გასამართლებულია და ასრულებს თავის სასჯელს. ერთი მხრივ, იმით, რომ მერაბიშვილს გადააბრალა ყველაფერი, აღიარებს, რომ იყო შეცდომები, გადაცდომები თუ დანაშაულები, რის გამოც მათ ხელისუფლება დაკარგეს. მეორე მხრივ, ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას ერთ პირს აბრალებს. არადა, ფაქტობრივად ის იყო პირი, რომელიც განკარგავდა ყველას და ყველაფერს. მთელი პასუხისმგებლობის გადაბრალება მისი გუნდის ერთ-ერთ წევრზე, არც გუნდურობა და არც რეალობას შეესაბამება. მითუმეტეს, რომ მხოლოდ ვანო მერაბიშვილის დაქვემდებარებულ უწყებებში არ იყო პრობლემები, რის გამოც ხალხმა უარი უთხრა 2012 წელს „ნაციონალურ მოძრაობას“.

რატიონალურად ვგონია, რომ მხოლოდ გირგვლიანის თემა და მსგავსი საკითხებია, რის გამოც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაკარგა ხელისუფლება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით ყოფილი ხელისუფლება, ვერ პოულობენ საკუთარ თავში ძალას, რომ გაიზარდონ ყველაფერი. ბოდიშს თუ არ მოუხდინან საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი განცხადებები მაინც არ უნდა გააკეთონ. ამით კი დევ უფრო აღიზიანებენ მოსახლეობას. ეს განცხადება ადასტურებს, რომ სწორად დაკარგეს ძალაუფლება 2012 წელს და დასკვნები აქედან ვერ გამოიტანეს. მოსახლეობის მხარდაჭერის კლება აისახა ბოლო თვეების საპროტესტო აქციებზე. ეს თავადაც დაინახეს. გიგი უგულავას გამოც კი არ აკეთებენ საპროტესტო აქციას და 4 აპრილისთვის გადადეს. ორი დღე ემოციურ კადრებს ატრიალებდნენ, რომელსაც მალე მივიწყებენ. იცინა, ახლა რომ დაგვეგონ საპროტესტო აქცია, ვერ მიიღებენ მათთვის სასურველ მხარდაჭერას. შეეცდებიან, ორი თვის განმავლობაში მოახდინონ მაქსიმალური მობილიზება. იმედი რომ შქონოდათ, უგულავას დაკავების გამო მეტი ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში, მეორე დღესვე მოახყობდნენ აქციას. ამავე დროს აქცენტს გააკეთებენ საერთაშორისო არენაზე მეტი მხარდაჭერის მოპოვებაზე. შეეცდებიან ამ ფონზე პროტესტისთვის მეტი ლეგიტიმაციის მოპოვებას.

– გიგი უგულავას დაპატიმრება სამართლებრივად და პოლიტიკურად რამდენად სწორად მიგაჩნიათ?

– სამართლებრივად ვერ შევასახებ. თუმცა, ინფორმაციები ვერცვლდება, რომ ერთ საქმეზეა მეორედ შეტრიალებული, როგორც ირკვევა, ეს ასე არაა. მან ერთ საქმეზე მოი-

ხადა სასჯელი. პირველი სასჯელი მან „თბილსერვისიდან“ 4-5 მილიონის გაფლანგვაზე მოიხადა. შემდეგ ახალი საქმე იყო „თბილსის განვითარების ფონდთან“ დაკავშირებით, სადაც 48 მილიონის გაფლანგვაზე იყო ბრალი წაყენებული. ამ საქმეზე საპუბლიკოსო განაჩენი გაასაჩივრა პროკურატურამ და უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება. ეს რამდენადაა სამართლებრივად სწორად წარმართული, იურისტებმა იმსჯელონ. 2-3 წელი რომ არაა ადეკვატური 48 მილიონის გაფლანგვასთან, ყველას ესმის. თუ ის მართალი იყო ამ საქმეში,

აღამიანაზა ბაიბას, რომ მხოლოდ ნეპატიური დღის წესრიგით ვერაფერს მიიღობენ. უნდა იყოს განვითარების პროგრამების შიშობრივი. ჩვენ კი ვხედავთ მუდმივად ჩასაფრებულ ოპოზიციას, სპანდალაზე აბაბულ დღის წესრიგს. დღეს საზოგადოება შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: ხელისუფლების მომხრეები, გაერთიანებული თუ სხვა ოპოზიციური ძალების მომხრეები და დანარჩენები, რომლებსაც შუაშისტებს ეძახიან, რომლებიც, ყველა კვლევებით, საკმაოდ დიდი მასაა. ამ შუაშისტებს არ მოსწონთ ოპოზიცია, უკმაყოფილოები არიან ხელისუფლებით, მაგრამ თუ უკეთესი ალტერნატივა ვერ იხილება, დიდი ალბათობით, ისევ ხელისუფლებას მისცემენ ხმას.

– ანუ ოპოზიცია სუსტია?  
– ძლიერ ხელისუფლებაზე მეტად საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიცია, ოპოზიცია, რომელიც ხელისუფ-

იმის იმედი აქვთ, რომ დღემდე მესამე საარჩევნო ვადით არავინ მოსულა. არადა, საპარლამენტო რესპუბლიკა და კონსტიტუცია არ კრძალავს და ვერ აკრძალავს რომელიმე პარტიის ზედხედ მესამე ვადით გამარჯვებას, ისევე, როგორც ყოფილი ხელისუფლების მესამედ მოხვლას. მოკლედ, შიდა ბაზარზე ოპოზიციის ფანტაზია ამოიწურა და, ჩემი შეფასებით, აგებენ. ახლა ბრძოლის არეალად საგარეო არენა იქცა. თუ გარეთაც წააგებენ, სხვა „საომარი“ სივრცე აღარ რჩება. ჩვენს პოლიტიკოსებს ავინყვებთ, რომ ყველაფერი საარჩევნო ურენასთან წყდება და საკუთარ მოქალაქეებს უნდა ელაპარაკონ. სამწუხაროდ, სწორება 2024-ზე უნდა გაგაკეთოთ. იმედია, ამ დროისთვის მოხერხდება პოლიტიკური ველის შეცვლა, გამსხვილება, გადაჯგუფება და ა.შ. რათა „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ვიხილოთ რამდენიმე მსხვილი და განახლებული, კონკურენტუნარიანი, კონკრეტულ იდეოლოგიებზე დაფუძნებული პარტია. მით უმეტეს, თუ 2024-ში 5%-იანი ბარიერით სრულად

# ოპოზიციის მუდმივად ჩასაფრებულობა!



## საპარლამენტო სივრცის და განვითარების მტრები!

მაშინ საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად რაიმე უნდა ემოქმედა, სანამ თავისუფლებაზე იყო, წარმოედგინა მასალები და ა.შ. ამისათვის მას და მის მომხრეებს უზარმაზარი აუდიტორია აქვთ. პროკურატურის ბრალდებაზე არ საუბრობენ. აქცენტი მხოლოდ პროცედურულ ნიუანსებზე და მოსამართლის ფაქტორზეა. ხალხს კი უფრო მეტად პირველი აინტერესებს. რაც შეეხება პოლიტიკურს, ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო საზოგადოების გარკვეული ნაწილის გამოხმაურებას. ეს არაა სასუმარო, მთელი სერიოზულობით უნდა მოუყვროს „ქართული ოცნება“. თუმცა, ხელისუფლებას ამჯერად არაა სერიოზულ მოპყრობაში ვერ დავადასაშაულებ, რადგან შედეგად პარლამენტის თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები აშშ-ში. კიდევ იგეგმება პრემიერის, საპარლამენტო დელეგაციის ჩასვლა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან. რამდენად შეძლებენ დასავლეთის დარწმუნებას, პროგნოზირება ძნელია. დასავლეთში ნდობის მოპოვება ძალიან რთულია, დაკარგვა მარტივია, პრინციპი, იგივეა, როგორც ადამიანებს შორის.

– როგორ შეაფასებდით ოპოზიციის სტრატეგიას საარჩევნო წელს?

– ოპოზიციის სტრატეგია, რომელსაც ბოლო პერიოდში ვხედავთ, საზოგადოებას ახალს არაფერს სთავაზობს. ხელისუფლების ნეგატიურად წარმოჩენა და ნეგატიური დღის წესრიგი აღარ მუშაობს. ამაში კი უნდა დარწმუნდნენ იმ მხარდაჭერით, რაც აქვთ ბოლო პერიოდში. ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა იკლებს. მათ არასწორ განწყობებს უქმნის სოციალური ქსელი. ის, რომ სოცქსელში საკმაო მხარდამჭერები ჰყავთ, ქუჩაზე, აქციებზე არ და ვერ აისახება და არც არჩევნების დღეს იქნება საკმარისი. ოპოზიცია შუა პიარს იკეთებს, ვგულისხმობ მათ გაერთიანებას, პოსტებს სოციალურ ქსელში, ინტერვიუებს.

ლებას მუდამ ტონუსში ამყოფებს. სუსტი ოპოზიცია კი, რომელიც კარგავს საზოგადოების მხარდაჭერას, პირიქით, ფუფუნებას უქმნის ხელისუფლებას. დღეს ზუსტად ასეთი ტენდენციაა. ოპოზიცია საზოგადოებას ვერ რაფერს სთავაზობს. ჩვენ ვერ ვიხილეთ მათი ვერც ერთი ნორმალური წინასაარჩევნო პროგრამა, როგორც საპრეზიდენტო, ასევე ადგილობრივი არჩევნების დროს. პირიქით, იყო აბსურდული დაპირებები, პენსიის გაზრდას 50 ან 400 ლარით. იყო აბსურდული დაპირებები, რომელთა შესრულება პრეზიდენტს არ შეუძლია. მათ ეს კი კარგად ესმოდათ. ამომრჩევლებს არ უდგებიან სერიოზული, მაგრამ საზოგადოება ნელ-ნელა იზრდება და ყველაფერს ხედავს.

– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჰყავს რეალური კონკურენტი?

– ცუდია, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის სახალხეები პოლიტიკურ სივრცეში არ იკვებება. ოპოზიციას არ ეყო უნარი თვითგადანაცვლების, გადაჯგუფების, განახლების. ველოდ, რომ მოხდებოდა პოლიტიკური პარტიების გამსხვილება, პოლიტიკური ლიდერების გადახალისება. ასე ხდება ყველაგან, ნებისმიერ ნორმალურ ევროპულ ქვეყანაში. თუ კი საპარლამენტო, საპრეზიდენტო, ადგილობრივ არჩევნებს რამდენჯერმე აგებ, არ აანალიზებ და იმავე სახეობით მოიხარ, ნარტიების იმედი არ უნდა გქონდეს. ძირითად ოპოზიციურ პარტიებში შიდა განახლება არ ხდება, არ არიან მოწოდებული შიდა განვითარებაზე, არაფერს ვამბობ ერთვაცინან პარტიებზე, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების დისკრედიტაციას ახდენენ. მინიმუმ რამდენიმე პარტიას საკმაო დაფინანსება აქვს. ბევრი პარტია ბიუჯეტიდან ფინანსდება. როგორ წარმართავენ ამ ფინანსებს? საზოგადოება ვერ ხედავს შედეგს იმ კუთხით, რომ ჩვენ ვერ ვიღებთ ნორმალურ, განვითარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ველს. მგონი,

პროპორციულ სისტემაზე ან შერეულ 100/50-ზე გადავალთ. ასეთი განახლება უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას და პერსპექტივაში ხელისუფლების ჯანსაღ მონაცვლობას.

– „ნაციონალური მოძრაობა“ ოთხმა აქტიურმა წევრმა დატოვა, რამდენად დამაჯერებელია მათი განმარტებები, რომელიც პარტიის დატოვების შემდეგ განაცხადეს?

– „ნაციონალური მოძრაობიდან“ 4 წევრის წასვლა საეჭვოა. არადამაჯერებელია, რომ ჭაჭაყავაძის ცენტრია მისახედი და სამი წევრი პარტიას ამიტომ ტოვებს. პოლიტსაბჭოს დატოვება იმ განმარტებით, რომ ორგანიზაციის ჩამოყალიბებით არიან დაკავებულნი, გაუგებარია. რატომ უშლის ეს პარტიულ საქმიანობას ხელს? თუ პარტიაში ხარ და მითუმეტეს პოლიტსაბჭოში, სხვადასხვა მიმართულებებით უნდა იყო დაკავებული, ხელს რატომ უშლის წევრობა, გაუგებარია და კითხვები ჩნდება. ჩემი ეჭვებით, გუნდის შიგნით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მეორე დღეს პარტია კიდევ ერთმა აქტიურმა წევრმა დატოვა. ფიქრობ, თუ საერთაშორისო არენაზე „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ „ენმ“-ის აქტივობები წარუმატებელი აღმოჩნდა, შესაძლოა, ეს ტენდენცია გაგრძელდეს. ჩვენი უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, ასეთი პროცესები არც უნდა გავვიკვირდეს. ბევრ პოლიტიკოსს, ალბათ, არც კი ახსოვს, რამდენი პარტიის წევრი იყო. „ენმ“-ის ორ ნაწილად გაყოფაც ვიხილეთ. საკმაო რაოდენობა გამოაკლდა მმართველ პარტიას, „ქართულ ოცნებასაც“, ამიტომ გასაკვირი არაფერია.

სანამ პოლიტიკური სპექტრი ახლიდან არ დალაგდება იდეოლოგიების, ღირებულებების და საშინაო თუ საგარეო ორიენტაციების მიხედვით, ასეთი გადინებები და პორტირებები მუდმივად იქნება.

ესაუბრა  
მარიამ ბელაშვილი



# ეპითიმე ღვთისპატივის ნიჭის ახალი გამობრწყინება


რედაქტორი, ბატონი **როინ მეტრეველი** პირველი ტომის შესავალ წერილში მადლობას უხდის თბილისის მერიას, მისი კულტურული ღონისძიებების ცენტრს ექვთიმე თაყაიშვილის პირველი ტომის გამოცემაში განთავსებული თანადგომისთვის და იმედოვნებს, რომ სხვა ტომებსაც გამოუჩნდებოდა გულშემატკივარი და თანამდგომი, რათა ეს მამულიშვილური საქმე ბოლომდე მიეყვანა.

გვასსოვს მრავალი ამგვარი სასიკეთო თაოსნობა როგორ ჩანასახშივე „მოძვე-დარა“ ან „მოუკლავთ“, დანყებულა, მაგრამ ბოლომდე ვერ დასრულებულა მიუხედავად მისაგეთა თვალდადებული შრომისა და გარჯისა. ყოველდღიური პრობლემები, უსახსრობა ყოველთვის ხელს უშლიდა სასიკეთო საქმის წარმართვას, მაგრამ ბატონი როინისა და მისი ჯგუფის დაუღალავი შრომის წყალობით სულ ოთხიოდ წელიწადში თხზულებათა რვა ტომი მიიღო მკითხველმა. მათ მართლაც შეუძლებელი შეძლეს, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღევანდელ პირობებში, როდესაც ყველაფერი ფინანსებზე და ქველმოქმედებაზე დამოკიდებულია. ამ მრავალტომეულს კი თავად დიდი ექვთიმეს დაუღალავი შრომის, იმედის, მიზანსწრაფულობის ბედი დაჰყვა და მაღალპროფესიულად შედგენილი, დასტამბული, იშვიათი ტაბულებით, ცხრილებით, ხელნაწერთა ასლებითა და ფოტომასალით გაფორმებული ტომები მოკლე ხანში მიიღო მკითხველმა.

გამოცემულ რვა ტომში შესულია დიდი მეცნიერის დაუღალავი შრომით შესწავლილი, თავის დროზე გამოცემული და ბევრიც დაუსტამბავი იშვიათი ნაშრომები. ჩვენი გაზუთის შარშანდელ ნომრებში შეძლებისდაგვარად (რასაც საგაზეთო სტატიები ითვალისწინებდა და გასწვდებოდა) გამოვეხმაურეთ პირველი ექვსი ტომის გამოცემა-წარდგენას. ასლა მკითხველმა ერთდროულად მიიღო მრავალტომეულის მეშვიდე და მერვე ტომი.

მეშვიდე ტომში, რომლის რედაქტორიც გახლავთ ქალბატონი **ნათელა ვაჩნაძე** და გამოიცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, შესულია შუასაუკუნოვანი ისტორიის კვლე-

ვის საფუძველთა საფუძველი — ქართული თხრობითი და დოკუმენტური წერილობითი წყაროები — გამოსაცემად მომზადებული და წინასიტყვაობით აღჭურვილი ბატონი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. „სამი ისტორიული სრონიკა“, 1890 წელს რომ გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის ვრცელი წინასიტყვაობით, სრულადაა შეტანილი ამ ტომში. იგი ალექსის ძე მესხიშვილს შემოუწირია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავისთვის. ამავე ტომშია შესული „ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით 1891 წელსაა გამოცემული. დიდი ექვთიმე აღნიშნავს: „ახალი ვა-



რიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“, რომელიც აქამომდე ცნობილი არ იყო და აქ პირველად იბეჭდება, შეადგენს მეორე ნაწილს „ქართლის მოქცევის წიგნისა“. აქვე რუსულ ენაზე გაცნობით 1900 წელს გამოცემულ ქართული წერილობითი წყაროების სამ ქრონიკას, ქართულ ენაზე „სუმბატ დავითის ძის ქრონიკას“, „ხელმწიფის კარის გარეგებას“, „ქართლის მოქცევის შატერდული და ქელიშური ვარიანტების სრულ ტექსტებს“.

მკითხველი გაეცნობა მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მეცნიერის მდიდარი პირადი არქივიდან, საჩვენებლად იმისა, თუ რაოდენ დიდი გარჯისა და ძალისხმევის ფასად იბადებოდა გამოჩენილი მეცნიერის ყოველი სტრიქონი. ტომში წარმოდგენილია კ. კეკელიძის სახელობის ეროვნულ ცენტრში დაცული ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივის ფოტორეპროდუქციები, აგრეთვე ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა

გენეალოგია სუმბატ დავითის ძის ქრონიკების მიხედვით, ტაბულებში შესწორებული შეტანილია თავად ბნი ექვთიმე თაყაიშვილის ხელით.

**მრავალტომეულის მერვე ტომი, რომელიც ათას გვერდს მოიცავს და რომლის რედაქტორიც გახლავთ ქალბატონი ნათელა ვაჩნაძე, წარმოდგენილია საქართველოს სიძველენით (ტომი I და ტომი II).**

როგორც წიგნის შესავალშია მოყვანილი, „საქართველოს სიძველენის“ პირველი ტომი 1899 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მესამედ შეესწავლი და განახლებული სახით გამოცემა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტომში, გარდა სხვადასხვა სიგელ-გუჯარისა, „შეკრებილია უმეტესად ბარათაშვილების სიგელ-გუჯრები და ის აქტები, რომელნიც ეკუთვნის საბარათაშვილოს მხარეს“ და სწორედ მათ მიმართებას მკითხველი განსაკუთრებულ ყურადღებას. როგორც ქალბატონი ნათელა ვაჩნაძე აღნიშნავს, „აღნიშნული წყაროები ერთადერთი უტყუარი საშუალებაა, რათა აღდგეს საბარათაშვილის ძველი ტომონიშები, რაც გვიან მოსულებს სრულიად წარეხცათ და ასლებით ჩაუნაცვლებათ“...

აღსანიშნავია, თუ როგორი თავდაუზოგავი შრომით იძიებდა დიდი მეცნიერი უძველეს სიგელ-გუჯრებს, იკვლევდა მათ, გამოსცემდა და ყველას სთხოვდა, გადახასხული ამგვარი მასალა მისთვის მიეტანათ, რადგან ამით დიდ საშვილო შრომას საქმეს გააკეთებდნენ: „ვთხოვთ ყველა იმ პირს, რომელთაც სიგელ-გუჯრები მოეპოვებათ, წარმოადგინონ ტფილისის სააზნაურო დეპუტატთა კანცელარიაში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის. დაბეჭდვის შემდეგ სიგელ-გუჯრები უკანვე დაუბრუნდებთ, ხოლო, თუ ისრუგებენ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში შეინახებთ“. სწორედ ამგვარად იხსნა დიდმა ექვთიმემ ბაგრატიონ-დავითაშვილების სიგელ-გუჯრები, მ. ჯანაშვილს რომ გადმოუწერია და პატრონისთვის უკან დაუბრუნებია. მოულოდნელ ხანძარს კი დავითაშვილების სახლი და სიგელ-გუჯრებიც შეუწირავს, მხოლოდ გადარჩენილი შემორჩენილია. „ამგვარი მასალების შეკრებას უნდა დაეწიოს ყველა იმისა, ვისაც გული შესტკივა სამშობლოს ისტორიისთვის და შეძლებისამებრ ამგვარ შრომაზე იქმნება ჩვენი ყურადღებაც“, — წერდა 1890 წელს ექვთიმე თაყაიშვილი.

ასლა ყველა თაყაიშვილის გასაგებამ და გულთან მისატანამ იძნება ეს უდიდესი გამაშლიშვილური საქმე, რაც ბატონმა როინ მეტრეველმა, მისმა ჯგუფმა და გამომცემელმა „არტანუჯმა“ ითავა — ეს დიდი საქმე ეპითიმე ღვთისპატივის მრავალტომეულის გამოცემაზე.

**გამოცემა ვაშაკიძე**

## „ნამდვილი თუ მოგონილი?“

**კომუნიკაციების კომისიამ მედიანინგერების კონკურსის „ნამდვილი თუ მოგონილი?“ რიგით მეორე დაჯილდოების ღონისძიება გამართა და გამარჯვებულები გამოავლინა.**

კონკურსს, რომელიც მოზარდებში მედიანინგინერების — კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, სამი გამარჯვებული ჰყავს. კონკურსში მონაწილეობა მე-9, მე-10 და მე-11 კლასის 60-მა მოსწავლემ მიიღო. გამარჯვებულები, რომლებმაც ღონისძიებაზე საკუთარი ნაშრომები თავად წარადგინეს, კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა.

კონკურსის პირობების თანახმად, მოსწავლეებს ქართულ მედიასივრცეში (ინტერნეტი, ტელევიზია, ბეჭდური მედია და სხვა) გავრცელებული ყალბი ინფორმაცია — Fake News უნდა აღმოეჩინათ, რომელიც ეხებოდა საქართველოში მომხდარ ამბავს და აქამდე არ ყოფილა დადასტურებული, როგორც ყალბი ინფორმაცია. მოსწავლეებს ამას გარდა, უნდა წარმოედგინათ ყალბი ინფორმაციის აღმოჩენის გზა, შესაბამისი წყარო და პარალელურად, დაედგინათ რეალური ფაქტები და ამბავი. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ყველა მსურველს 27

**ნოემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით ჰქონდა.**

კონკურსში „ნამდვილი თუ მოგონილი?“ პირველი ადგილი **ლუკა ყოჩიშვილმა** დაიკავა, რომელმაც საკონკურსო ნამუშევარში ფეიკ-ნიუსის გავრცელების მეთოდები მიმოიხილა. მან გააანალიზა ის ფაქტორები, რომლებიც მოგონილი ამბის გავრცელებით, მომხმარებლის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. კერძოდ, ლუკა ყოჩიშვილის ნამუშევარში გადმოცემულია ორი ვებგვერდის მიერ სტატიების სახით გავრცელებული ინფორმაცია საბროკერო კომპანიის მეშვეობით გამდიდრებული ადამიანების შესახებ. ყოჩიშვილმა ინფორმაციის გავრცელების წყაროები შეისწავლა და ჩატარებული ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ აღნიშნული ნიუსები ყალბია და ის საზოგადოების შეცდომადი შეყვანას ემსახურებოდა.

მეორე ადგილზე **მარიამ ყვავაძე** გავიდა, რომელმაც საკონკურსო ნაშრომში ქართულ მედიაში გავრცელებული ყალბი ინფორმაცია აღმოაჩინა. მარიამმა მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებული ამბავი გადაამოწმა და დაადგინა, რომ სტატიის ავტორს ყალბი ინფორმაციის გავრცელებასთან ადრეც ჰქონია საქმე.

მესამე ადგილის მფლობელი **სალომე ქოიავა** გახდა, რომელმაც კონკურსის ფარგლებში, სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია შეისწავლა. ნამუშევრის მიხედვით, პოსტის მიზანს, სავარაუდოდ, განათლების სისტემაში დასავლური ინსტიტუტების ჩართულობის დისკრედიტაცია წარმოადგენს.



მემორია

სღმბა, ხანგრძლივ დაყიალემ ადამიანთა გვერდგვერდ, დადუმებული ანდა უმნიშვნელო რამ სიტყვას ჩამოაკვებ. მაგრამ, აი, დგება სახიფათო რამ წამი და მაშინ ერთმანეთის საყრდენად ვიქცევით. მაშინ გამოჩნდება, რომ თურმე ერთი საძმოს წევრები ვყოფილვართ. ერთიერთობი თუნდაც ორ ამხანაგს ვისმე და ეგრევე მდიდრდები და ვუღიმიით ერთმანეთს.

ცხომრამაში ისე ცოტაა ნამდვილი მეგობრობა, ერთგულეობა, სიყვარული, რომელთა დაკარგვაც წარუშლელ კვალს დაგამჩნევდა.

ცხარედ ვკამათობთ, სიტყვები სხვადასხვა გვაქვს, მაგრამ იმათ უკან იგივე მისწრაფებანი და სურვილებია. მხოლოდ ხერხები გვყოფენ – მსჯელობის ნაყოფი, ოღონდ მიზანი საერთო გვაქვს...

იმამე უფრო ფასეული რამ განძი არცნაა, ვიდრე საერთო მოგონებანი, აგრეწივად გვერნი მძიმე საათი, ერთად განცდილი, გვოდენი დაგა-კამათი, დაზავებანი, სულიერი მღელვარებანი. ესეგვარი მეგობრობა მრავალი წლის ნაყოფია. მუხას რომ რგავ, სასაცილოა იმაზე ოცნება, მალე ამას შევეფარებო.

მინ იცის, იქნებ სულაც ცხოვრება გვეწყვეტს ამხანაგთ და არ გვადლევს იმათზე გვერი ფიქრის საშუალებას, მაინც, ალბათ, სადაც, ღმერთმა უწყის, სადაც, ისინი არსებობენ – მღუმარენი, დავიწყებულნი, ოღონდ ყოველთვის უღალატონი! და, როს ჩვენი გგები ერთმანეთს კვეთენ, რა გახარებულნი არიან, რა მხიარულად გვაგებობენ თავს!

ჩემი მეგობრობის ქსელი ძლივს გიჭერდა: დაუდევარ მწყემსს, ეტყობა, ჩამეძინა.

რამა გავგათავისუფლოთ, საჭიროა მიზანი რამ დაგვანახვოთ, რომლისკენაც ერთმანეთის მხარდამხარ ვივლით, მეგობრობის კავშირით გადაშლული – მამ, რატომ არ ვეძებთ ისეთ მიზანს, რომელიც ყოველთა გვეერთიანებს.

ამა, რის გულისთვის უნდა გეძულდეს ერთერთი? ყველანი ერთსულოვანი ვართ. ერთი ცთომილის შვილი, ერთი ხომალდის გუნდი ვართ. კარგია, ოდეს სხვადასხვა ცივილიზაციათა შორის დაგა-კამათი ჩნდება რაღაც სიახლე, გვერად უფრო სრულქმნილი, მაგრამ სასწაულია, როცა ისინი ერთმანეთს ნთქავენ.

ძვენიერება გაუდამზოვდა, და სუველას იქ ამხანაგთა პოვნა გვეყურია; იმის გულისთვის, რომ ამხანაგთა შორის პური გავტეხოთ, ომზეც თანახმანი ვართ. ოღონდაც ეს სითბო შეგვაძენინა, რათა ერთმანეთის მხარდამხარ ერთსა და იმავე მიზანს მივესწრაფოთ, ბრძოლა სულაც საჭირო არ არის. ომი და სიძულვილი არცნას არ უმატებენ საერთო ელვისებურ მოძრაობას, სიხარულს.

ყოვლის უფრო მთავარის განჭვრეტა არ ძალგვიძს. რომელი ჩვენგანი არ დაუწევს ყოვლის უფრო მხურვალედ მოულოდნელ სიხარულს, უმედურებათა შორის აჩენილს? იმის დავიწყება შეუძლებელია, იმის გამო ასერიგად ნდობობ, რომ უმედურებათა სანახებლადაც მზადა ხართ, უკეთუ იმ უმედურებებს ის მხურვალე სიხარულიც მოჰყვა. ყველაფერი გადაგვხდენია თავს, ამხანაგთ რომ შევხვედრივართ, გატაცებით ვიკონებთ ყოვლის უფრო მძიმე განსაცდელს, ერთად რომ განგვიცდია.

და აი მოწიფულნი ვაჟგანნი დავბრუნდით კოლეჯში. ვიბრძოდით, ვიტანჯებოდით, არაერთხელ გადავუფრინეთ ზღვარდაუდებელ მიწა-წყალთ, გვიყვარდნენ ქალები, ხან ფულთანაც გვითამაშია, სიკვდილობანაც და ყოველსავე ამას ვიქმოდით იმის გულისთვის, რომ აგვერიდებინა შიში, როგორც რომ ბავშვობაში ჩვენი მტანჯველი რამ – შიში საჭარიმო დავალეგების წინაშე ანდა ზედმეტი საათით კლასში დარჩენის შიშის წინაშე; მხოლოდ იმის გულისთვის, რომ შიშით საღამოს მთელი კვირის ნიშნების ამოკითხვა მოგვესმინა.

მსაზღვრულში ჩურჩული გაისმა, მერე წამოძახილი, მერე, ბოლოს და ბოლოს, ატყდა გებრული ჩოჩქოლი. ჩვენი მასწავლებლები ჩვენდა შესახვედრად მოდიოდნენ ლამპების ოქროსფერ შუქში, პერგამენტის სახისანი, ოღონდ ნათელთვალეებიანი: გამოცხადებულნი, დამტკბარნი და იმავე წამს მიხვდით, რომ ჩვენ სხვა სამყაროსანი ვიყავით. მიხვდით: „მიმცხოვრებულნი“ სკოლაში გულდაჯერებულნი და უშიშარნი მოვიდნენ, სამაგიეროს გვიხდიდნენ არა ჩვენი განცდილი ბავშვური შიშისა გამო.

მსოფლიოში საკმარისად არიან მსატყლნი, მეგობა-

რი კი იმისთვის არის შექმნილი, რათა მიგიდოს და გულში ჩაგიკრას.

მემორიაში სიყვარული გაბდღენა, შენ კი სიყვარული მოვალეობად ჩათვალე. სიყვარულის თავისუფალი ძღვენი მონობაში ცხოვრებისა და ციკუტის დაღვევის აუცილებლობად და ვალდებულებად აქციე. გული კი გაგიტყდა, ოღონდ ამ შენს გულგატეხილობაში კეთილშობილების ნატამალიც არ არის. ძუნწი ის კი არ არის, ვისაც ფული საჩუქრისთვის დაენანა, ძუნწი და წუწვი ის არის, ვინც აყვავება ვერ მოახერხა შენი საჩუქრის საპასუხოდ.

მემორიაში უწინარესად ის არის, ვინც შენს განსჯას არ ეწევა.


აიძულე ისინი გოდლის აშენება და ისინი თავს ძმებად იგონებენ, ოღონდ თუ ვინდა, რომ იმათ ერთმანეთი შეაძულო, ყაყაჩოს თესლი მიუგდე.

მემორიაში იმით ვგრძნობ, თუ წყენას და წყენინე-

**„ყურა გზას ადამიანებში მიუყავს“**

**- ასე ამბობდა ანტუან დე სანტ-ეჟიუპერი**

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა



ბას ვერა ხედავ, ჭეშმარიტი სიყვარული შეძლებისდაგვარად ნაწყენობაა.

მემორიაში უწინარესად დაზავება და დიადი სულიერი ურთიერთობა არაფრის მაქნისი წვრილობანების საწინააღმდეგოდ.

ამხანაგში ის არის, ვინც, ერთ თოვს ჩაჭიდებული, საერთო ძალისხმევით ადის მთის თხემზე და ამით იძენს თავის ახლობლობას.

მეგობრობა, მავანო! – მინდა, რომ ისევე შევხვდეთ ერთმანეთს. თქვენი მეგობარი ანტუან დე სენტ-ეჟიუპერი

თავდაპირველად სრულიად ბუნებრივი მეგობრე, მერე უცებ ვიგრძენი, რომ სასწაული რამ იყო. ჩვენ ერთმანეთისგან ათასი კილომეტრის დაშორებით ვიზრდებოდით, ასევეარად განსხვავებულ გარემოცვაში, ისეთი განსხვავებული ცივილიზაციები ვიმეკვიდრევეთ, ეგზომ განსხვავებულ ცრურწმენებს ვითვისებდით და მაინც ისეთი მსგავსი ვიყავით, თითქოს ერთ დედას ეწოვებინოს ძუძუ. იდუმალ ვინმე დედას, რომელმაც არცნა მოგონება არ შემოგვრჩა...

ერთი – ბრზო ხალხი, სულ სხვა ის, ვისთანაც ისევე ვინდა შეხვედრა.

მს ჩემი ამხანაგები თავისებურად საუფცხო ადამიანები არიან, პირდაპირი, კეთილშობილი, წმინდა, ერთგული ადამიანები და თავად ვერ გამოვიყვან, რომ ვუყურებ ჩაძინებულთ, რატომ განვიცდი რაღაც უძ-

ღურ სიმრალულს. იმათ არ უწყია, რა მოუსვენრობა ღრღინით, მე კი ამას კარგად ვგრძნობ. მართლაც პირდაპირი, კეთილშობილი, წმინდა და ერთგული არიან. და ამასთანავე, წარმოუდგენლად დაბეჭავებულნი. ო, რა რიგ ეჭირვებთ როგორიმე ღმერთი.

იოლი საპოვნელი არიან ისეთი მეგობრები, ჩვენს დასახმარებლად მზად რომ არიან. ძნელია დაიმსახურო მეგობრები, ჩვენს დახმარებას რომ ითხოვენ.

სხმა ის მიწა-წყალია, რომელსაც არცნა საზღვრები არა აქვს.

მცრამში ნაკლებობა არა მაქვს, რომელნიც სულ ჩემი ჭკუის დარღვევაში არიან. მე კი ისეთი მეგობრები მჭადიან, ჩემთვის სულის მოთქმის მზად რომ იქცეოდნენ.

სუყომელო იმათი სურვილი გულს მიმსჭვალავს, მე გვერად ახლოსა ვარ იმათთან, ვიდრე ისინი არიან თავიანთ თავთან.

...პსომორიაში ყოველთვის ორ ნაწილად ვყოფი, არიან ადამიანები – ბალი და არიან ადამიანები – სახლი. ესენი ყველგან დაათრევენ თავიანთ სახლებს და სული გეხუთება იმათ ოთხ კედელში. ღუმლი სახლებში ძნელი საქმეა. ბაღებში კი სეირნობენ. იქ შეიძლება რომ გაკრიტიკებო ისეინო და ჰაერი შენს გემოზე ისუნთქო. იქ თავს ლაღად გრძნობ.

ჩემი მეგობარი, შენ ისევე მჭირდები, როგორაც მთის მწვერვალი, სადაც ლაღად ვსუნთქავ.

და აი, კიდევ რამე დავფიქრდი. არიან ადამიანები – შარავნები და ადამიანები – ბილიები. ადამიანები – შარავნები მანაღვლიანებენ. თავს მამგზვრებენ ხრეში და კილომეტრების აღმნიშვნელი ბოძებში. ადამიანებს – შარავნებს მუსტად განსაზღვრული მიზანი აქვთ, ბაჟის ამბიციები. ბილიების გასწვრივ კი კილომეტრების აღმნიშვნელი ბოძების ნაცვლად კაკლიანია, სადაც დაყიალემ და ამტვრევ კაკალთ. იმითმ დაყიალემ იქ, რათა უზრალოდ იყილო და იმისთვის დაამიჯებ, რომ მოგწონს იქაურობა და აღარც ფიქრობ იქით წასვლაზე, სადაც აუცილებლად უნდა წასულიყავი. კილომეტრების აღმნიშვნელი ბოძისგან კი სავესებით არცნას არ უნდა მოელოდე...

შენ ისეთს მეგებები, როგორიცა ვარ, და ამითომ, თუ საჭიროა, შეგეუები ჩემს განსჯასაც და ჩემს საქციელსაც.

მემორიაში კარგა ხანს უნდა ზრდა, ვიდრე მეგობარი შენზე უფლებას განაცხადებს.

ძმებად ყოფნა მხოლოდ რაღაცით შეიძლება და არ შეიძლება ძმობა ზოგადად.

აღამიანი მხოლოდ ურთიერთობათა კვანძია და მხოლოდ ურთიერთობანია ადამიანისთვის მთავარი.

(ბაბრკალა მორბ ნომერში)





# ჯემალ აჯიაშვილის სიტუვის ენერჯია

აშვილის თარგმანებში? X-XII საუკუნეების ესპანეთში მოღვაწე ებრაელ პოეტთა – შემულე ჰანაგისა და თუ შელომომ იბნ ებრაელის, მოშე იბნ ებრაელსა თუ იეჰუდა პალევის და სხვათა ლექსების, დავითის ფსალმუნების თარგმანებში, რამაც ასეთი ორჭოფული აზრები დაბადდა თარგმანმცოდნეებში.

სწორედ ამის წარმოდგენა-წარმოჩენა სურს როსტომ ჩხეიძეს, მაგრამ დასაბუთებულად, გამართლ-

## რჩეული ლიტერატორის წიგნი რჩეულ მთარგმნელსა და პოეტსა

**რთულია მწერლისა და ლიტერატორის ხელობა: რაზე და ვისზე წერო, როგორ წერო, ვისთვის წერო. ამ თვალსაზრისით ლიტერატორი იმ მებაღეს მომაგონებს, რომელიც უტურფესი, მდიდარი ყვავილებით სავსე ბაღს პატრონობს, ზოგ ყვავილს თვითონ იგულეებს რჩეულად, ზოგს თვით ყვავილი ირჩევს, ზოგი უმნიშვნელოც გამოერევა რჩეულებში, უმნიშვნელო, ერთი შეხედვით, თითქოს... ამ შემთხვევაში ჩვენმა რჩეულმა ლიტერატორმა, რომელმაც მთლიანად გაცოცხლა, თავისეული ადგილი შემოავლო მშვენიერების, მამულის სიყვარულის „ბაღე“ მთელი XIX თუ XX საუკუნეების მწერლობას, მოუძებნა მას სიცოცხლის ძარღვი და ფესვიდან ყვავილებამდე ელოლიავა, გაასხივოსნა...**

ასეთია ეს გამორჩეული მწერალი და ლიტერატორი როსტომ ჩხეიძე, რომელმაც რჩეულთა შორის გამორჩეულ მთარგმნელსა და პოეტზე ჯემალ აჯიაშვილზე შექმნა მორიგი ნიგნი. ჭეშმარიტად ღირს „მანტიას“ ფლობდა ბატონი ჯემალი თავისი მოკრძალებული იერიითა და მშვიდი, გალობასავით მშვენიერი მხატვრული კითხვის მანერით. ბევრ შეკითხვას ბადებდა მისი თარგმანები თარგმანმცოდნეებში, არცერთ კითხვას – მისი პოეტური ნააზრების გარშემო... ჭეშმარიტი პოეტი თარგმნიდა და თავისი პოეტური ხელოვნებით ძერწავდა ძველიდან ახალს, განუმეორებელს, უმშვენიერესს, გასაგებს და თითქოს საუკუნეებიდან გამოიხმობდა პოეტთა აჩრდილების მეგვიდრეობას.

ბატონი როსტომის კალამი აქაც მოძებნის ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედების მფეთქავ ძარღვს და საწერელში ამოავლევს, ამოსწვრავს სათქმელს და მერე როგორ... მხოლოდ როსტომისეულად! ბატონი ოთარი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ მისი ძე ასეთ მწვერვალზე მისწვდებოდა წერის ხელოვნებისა, იქნებ წარმოიდგენდა კიდევ და თავისეული კეთილი ღიმილით იტყოდა: ვიცოდი, ვიცოდიო, ჩემი ჯიშ-ჯილაგისგან მხოლოდ ასეთი მწერალი და ლიტერატორი რომ დადგებოდაო, ისე ჩასწვდებოდაო მწერლის სულს მისი შემოქმედებით, როგორც მე ვწვდებოდი ჩვეულებრივი ადამიანებისას, მხოლოდ ერთს ნაკვარი ხელი, ვასლი ბარნოვს, ჩემებურად დიდ ბაირონსაც იტალიაშიო, დანარჩენს მაგან მოავლო ხელიო და მერე როგორ მოავლოო...

ჯემალ აჯიაშვილზე, როგორც მთარგმნელზე, ორჭოფობდნენ თარგმანმცოდნენი: ძველი პოეტები თარ-


გმნა თუ თავისი ჩააქსოვაო?! ამას ისე ორიგინალურად ხსნის ბატონი როსტომი, თავად მთარგმნელი და მწერალი, გასაოცარია: ყველაფერი გენიოსური მარტივიაო, – ეუბნება მკითხველს, მაგრამ აქ მარტო ავტორის სულში წვდომა არაა საკმარისი, აქ ცოდნაა საჭირო, მრავალტანჯული ებრაელი ერის უდაბნოში 40 წელი ხეტიალისა არ იყოს, ღვთის ნებით.

როსტომ ჩხეიძე, ხაზს უსვამს რა ჯემალ აჯიაშვილის პოეტურ ნიჭს, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში „პირველ სხივსა“ და შემდგომ „ხომლი“ პუბლიკაციებით დაიწყო და რომელიც წინასწარმეტყველებდა „მოსალოდნელ ალიარებას, რომელიც ძალიან მალე მოვიდოდა და ჯემალ აჯიაშვილი ერთბაშად მოექცეოდა ლიტერატურული პროცესისა და აჟიოტაჟის, დისკუსიის შუაგულში.“

ასე რომ, თავდაპირველად პოეტად დაბადებული ჯემალ აჯიაშვილი გადადის მთარგმნელობით საქმიანობაში, როგორც მერაბ ლალანიძე შენიშნავს ნიგნის ბოლოსიტყვაობაში:

„როსტომ ჩხეიძის დასკვნით, შექსპირის პოემისა და იტალიური სონეტების ქართულად გადმოტანით აჯიაშვილი იწყებს თარგმანის განსხვავებული გზის მოსინჯვას: ბევრად უფრო ახლოს პირველწყაროსთან, ბევრად უფრო შორეულად გამკრთალი გადაძახილებითა და ალუზიებით ქართულ პოეტურ მემკვიდრეობასთან.“

იბადება კითხვა – პირველია თუ არა ეს ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში? არა, პირველად ეს XIX საუკუნეში ჩნდება, ისიც იმ მიზნით, რომ ქართველი მკითხველისთვის გასაგები გაეხადათ ნათარგმნის გადმოქართულება, თუმცა არცთუ იშვიათად ეს დაბალმხატვრობით გამოირჩეოდა და ხშირად არაფერი ესაქმებოდა ორიგინალთან, ასეთ თუ არა ჯემალ აჯი-



ბულად, ავტორის პოზიციის განმტკიცების მიზანსწრაფვით. ჯემალ აჯიაშვილი ამას „შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის“ წინასიტყვაობაში ხსნის ავტორის მიერ სათქმელის ლექსში სანახევროდ გაცხადებით და მისი შინაგანი ლოგიკით ნაკარნახევის გავრცობის აუცილებლობით, რითაც იგი ცდილობდა მოეგერიებინა საკმაოდ მძაფრი კულტურული შემოტევები. რ. ჩხეიძე ამას, ერთი მხრივ, ქართველი მკითხველისათვის სათქმელის მხრივ, ჯემალ აჯიაშვილის თარგმანი განსაკუთრებული მოვლენაა და მას არ შეიძლება სუფთა თარგმანმცოდნეობითი კანონიკით მიუდგეს პოეტი, რომლის შემოქმედებითი ფანტაზიაც თავის როლს თამაშობს და, რაც მთავარია, თარგმანის ეს-თეტიზმი კი ცალკე თემააო, რითაც ხიბლავდა ჯემალ აჯიაშვილის თარგმანი მკითხველს. როსტომ ჩხეიძე არაიშვიათად სხვათა ნააზრებს იმონწევს, თუმცა მათაც ეკამათება. საერთოდ კი თარგმნისას „და ამ მფეთქავ ნერვს, ამ შეფარულ დინამიკას ჯემალ აჯიაშვილი ისეთ ქართულ სამოსელში მოაქცევდა, თან რომ შორდებოდა ებრაული პოეზიის ქართულ ორეულს და ... თან რომ ვერც შორდებოდა.“

და, ჩვენი აზრით, მართლაც რომ შეუდარებელ დასკვნას აკეთებს ბატონი როსტომი: „ჯემალ აჯიაშვილის ტვიფარით აღბეჭდილ ებრაელ პოეტთა ხილველობა: სულთა შინაგან შერა-შენდებოდა სვეტი შარავანდისა.“

როსტომ ჩხეიძე ჯემალ აჯიაშვილის, როგორც თარგმანის შემდარებლის, ღირსებას უსვამს ხაზს, მის ფაქიზ მიდგომას, ჭეშმარიტების მოძიებასა და გამოიმუხურებას.

საკუთრივ სონეტების ავტორს ჯემალ აჯიაშვილს ბიუროკრატიამ თუ არ ვიცო უგულისყურობამ, არ გაუხსნა გზა საკუთარი შემოქმედების სრულყოფილად გამოიმუხურებისაკენ, რაც მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გახდა შესაძლებელი ბატონი მერაბ ლალანიძის წყალობით.

როსტომ ჩხეიძე არაერთგზის აღნიშნავს იმ მჭიდრო კავშირს, რაც რელიგიურად განსხვავებულ, მაგრამ თანაცხოვრებით, სულიერებით ერთმანეთთან დაკავშირებულ ქართველ და ებრაელ ერს აკავშირებს, დარამაც ერთგვარი სინთეზი სწორედ ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებასა და თარგმანებში პოვა გამოსატულება.

სათქმელი ბევრი დარჩა, წინგმა თავისი საქმე ქნა: ითქვა ის, რაც უნდა თქმულიყო და როგორც უნდა თქმულიყო. დანარჩენი კი კარგ გამგონს, კეთილშობილ მკითხველს მივანდოთ, მე კი ჩემდათავად ამ ნიგნის ნაკითხვით აღფრთოვანებული ერთი მკითხველთაგანი აღმოვჩნდი, რომელმაც კალამს შევბედე ხელი განცდის გამოსახატავად. სათქმელი კი ბევრია, ბევრი...

თამილა გოგოლაძე

### მირკმა


## მიბეგება მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

15 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მირქმას (მიგებებას). უფალი იესო ქრისტე ორმოცი დღის რომ შესრულდა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი დამწმენდილი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნაშობიარები დედა 40 დღე არ შედის ტაძარში, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვა...

...ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

საგულისხმოა, რომ ტაძარში ჩვილით მისულ მარიამს და მართალ იოსებს მიუგება სულიწმინდის მაღლით ცხებული სვიმეონი. ის იყო ერთ-ერთი 70 ებრაელთაგანი, რომელთაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნათ ბიბლია...

მართალ სვიმეონს წილად ხვდა ეთარგმნა ესაია წინასწარმეტყველის ნიგნი და როცა ის მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც წერია: „ჰა, მუცლადილებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ ნიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს



ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა გაწიზრახა.

...მოულოდნელად, მას უფლის ან-

გელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერა იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ იხილავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს.“

ალხანიშნავია ისიც, რომ სვიმეონი 360 წლის იყო, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიუგება: „ან განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაგან შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი“. წმინდა სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი ანა წინასწარმეტყველი, რომელიც მარტოა და ლოცვით დღედაღამ განუშორებლად მსახურობდა ღვთის სახლში. მრავალ ჩვილს შორის მანაც შეიცნო ძე ღვთისა და ებრაელებს ახარა უფლის განკაცება.

წმინდა მამეები გვასწავლიან: არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, და ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დრო.


გიული ლიპარტია

## 2019 წელს ოჯახში ქალაქობას 7 ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა

2019 წელს ოჯახში ქალაქობას 7 ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. ოჯახში ქალაქობისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის კი ბრაღი 4564 პირს წარედგინა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, გასულ წელს სულ 10 266 შემაკავებელი ორდერი გაიცა – 17 594 პირზე.

უწყების ინფორმაციით, 2019 წელს 34%-ით უფრო მეტი შემაკავებელი ორდერი გაიცა, ვიდრე 2018 წელს. გასულ წელს გაცემული 10 266 შემაკავებელი ორდერი 376-მა პირმა დაარღვია. ძალგანი უწყების წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი შემაკავებელი ორდერი გაიცა თბილისში – 4855, 8314 პირზე, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმში ფიქსირდება.

სულ ამ რეგიონში 42 შემაკავებელი ორდერი გაიცა 78 პირზე. რაც შეეხება ოჯახში მოძალადისა და მსხვერპლის უშუალო სტატისტიკას – 2019 წელს ოჯახში ქალაქობის მსხვერპლი 9040 ადამიანი გახდა, აქედან 7479 ქალია, ხოლო 1 561 მამაკაცი. აგრეთვე საინტერესოა, 2019 წელს როგორი იყო ოჯახში ქალაქობის შემთხვევები, მოძალადეების სტატისტიკა და, როგორც ირკვევა, გასულ წელს, 8554 მოძალადე დაფიქსირდა, საიდანაც 7030 მამაკაცი და 1524 ქალია.



# ისევ ლაპარაკი... საქმის ნასვლად!

## უესაქლავლია თუ არა საქართველოსა და ოკუპირებულ რეგიონებს შორის განსხვავებული ურთიერთობა?

რომორი შეიძლება იყოს შეცვლილი, ახლებური წესრიგი ევრაზიის რეგიონში და როგორ შეიძლება განვითარდეს რუსეთისა და რეგიონის დანარჩენი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ურთიერთობა? არსებობს თუ არა კონფლიქტის გადაჭრის სხვა გზები და რა ეკონომიკური ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს ამ ორ მხარეს შორის? ამ თემებზე იმსჯელებს შეერთებული შტატების სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში, სადაც ახალი კვლევის პრეზენტაცია გაიმართა.

კვლევა სახელით, „კონსენსუსის შეთავაზება ახალ რეგიონულ ძალთა ბალანსზე პოსტსაბჭოთა და ევრაზიის ქვეყნებში“ ამბობს, რომ დასავლური წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ევრაზიის რეგიონში პოლიტიკური ძალთა ბალანსი, ეწინააღმდეგება რუსულ წარმოდგენას იმავე საკითხზე. ეს იდეოლოგიური დაპირისპირება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უსაფრთხოების თემაზე, სწორად პრობლემებს უქმნის ევრაზიის რეგიონის ქვეყნებს, ამბობს **პოლ შვარცი**, მკვლევარი და ანალიტიკოსი. მისი თქმით, ამ კომპლექსური გეოპოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად, ძალიან ცოტა კონკრეტული შემოთავაზება არსებობს.

კვლევის მიზანი ახალი წინადადების წამოყენებაა, რომელიც რეგიონში შეცვლილ ძალთა ბალანსს და პოლიტიკას გაითვალისწინებს. კვლევა მხარეებს სთავაზობს განსხვავებულ მიდგომას უსაფრთხოებისა და ეკონომიკის საკითხებზე. ავტორების თქმით, კვლევა ექსპერიმენტულია და სთავაზობს გამოსავალს მხარეებს იმ შემთხვევაში, თუ მათ ამ მიმართულებით დიალოგის დაწყება სურთ. სხვა ქვეყნებთან ერთად, მათ ახლებური ხედვა საქართველოსთვისც წარმოადგინეს.

ერთ-ერთი შეთავაზება საქართველოს ეკონომიკას ეხება. კვლევის თანავტორი **ალექსანდრა დინეა** თვლის, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელი საექსპორტო ხელშეკრულების წევრები არიან

ქვეყნები, იქნება ეს ევროკავშირი თუ ევრაზიის კავშირი, მათ აქტიური სავაჭრო ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ ორივე მხარესთან. ამ მოსაზრებას ავტორი იმით ამყარებს, რომ, რაც უფრო მეტ ბაზარზე აქვს ქვეყანას წვდომა, მით უფრო წარმატებული და სტაბილურია მისი ეკონომიკა.

„ამერიკის ხმის“ შევითხვავებ, თუ როგორ წარმოუდგენია მას საქართველო-რუსეთის აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები მაშინ, როდესაც რუსეთი მუდმივად იყენებს ეკონომიკურ სანქციებს საქართველოს წინააღმდეგ ბერკეტად, დიენესმა თქვა, რომ საქართველო ეკონომიკური დივერსიფიკაციის კარგი მაგალითია. „ის ისეთ პროდუქტს აგზავნის ექსპორტზე, როგორცაა ღვინო, რომელიც ბევრად უფრო პოპულარულია რუსულ, ევრაზიის კავშირის ბაზარზე, ვინაიდან იქ კარგად იცნობენ ქართულ ღვინოს და ბორჯომს, რასაც მე სწორად ვერ ვხედავ ევროკავშირის ბაზარზე.“

რა თქმა უნდა, სავაჭრო უთანხმოებები ხდება, მაგრამ 2012 წლიდან მოყოლებული, ვხედავთ, რომ საქართველომ, მიუხედავად აკრძალვისა, აღადგინა რუსეთთან ექსპორტი. ვფიქრობ, წმინდა ეკონომიკური თავისუფლების, ეს კარგი და მომგებიანია. ასე რომ, რაც უფრო მეტი გზა იარსებებს და მრავალი მიმართულება იქნება ვაჭრობისთვის, მეტად სტაბილური იქნებიან ქვეყნები პოტენციურად. ჩვენი შემოთავაზების მიხედვით, უკეთესია რაც შეიძლება მეტი ვარიანტი განვიხილოთ,“ – თქვა კვლევის თანავტორმა.

ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა იყო უსაფრთხოება და კონფლიქტის მართვა. კვლევის კიდევ ერთმა თანავტორმა და „პოლიტიკის სწავლების საერთაშორისო ცენტრის“ მრჩეველმა **ვასილ ფილიპოვი** თქვა, რომ შესაძლოა, საქართველოსა და უკრაინისთვის მოლდოვის მოდელის გამოყენება იყოს მომგებიანი. მისი თქმით, ეს შესაძლოა, იყოს კონფლიქტის მართვის ალტერნატიული ვერსია.

მოლდოვის მიერ დამოუკიდებლო-

ბის გამოცხადების შემდეგ, დენსტრის-პირეთის რუსულენოვანი მოსახლეობის ნაწილმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც 1992 წელს სამხედრო კონფლიქტი მოჰყვა. იმავე წლის ივლისში ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებას მოეწერა ხელი. მას შემდეგ დენსტრის-პირეთის კონფლიქტი, სადაც რუსული სამშვიდობო კონტინგენტი დღემდეა განლაგებული, გაყინულად ითვლება. ვასილ ფილიპოვი ამბობს, რომ მოლოდინი შედეგად მოლოდინი ინტერესების გვერდით გადადება და ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვა. მისი აზრით, თუ საქართველოსა და უკრაინაში არაფერი შეიცვლება, მაშინ, შესაძლოა, ეს მაგალითი გამოსადევი იყოს ამ ქვეყნებისთვისაც.

„მოლდოვის მაგალითს განვიხილავთ, როგორც ცუდ ვარიანტებს შორის ნაკლებად უარესს. რა თქმა უნდა, გვსურს, რომ კონფლიქტები მოგვარდეს. რა თქმა უნდა, გვსურს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იყვნენ საქართველოს განუყოფელი ნაწილი, მაგრამ რას გავაკეთებთ, თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება? დენსტრისპირეთის მაგალითი ძალიან საინტერესოა. მოლდოვაში სტატუსისა და პოლიტიკური ინტერესების თემა გვერდით გადადეს. მთავრობა არაკონტროლირებადი ტერიტორიების მოსახლეობას ისევე ექცევა, როგორც კონტროლირებადისას. მოლდოვის შემთხვევაში ეს მუშაობს. მეტიც, ძალიან დიდი პროგრესი ჰქონდათ, როდესაც ვნახეთ, როგორ გამოდიოდნენ დენსტრისპირეთიდან სპორტსმენი, მომღერალი თუ მსახიობი მოლდოვის სახელით საერთაშორისო ასპარეზზე. ასე რომ, თუ არ შეგვიძლია კონფლიქტის მოგვარების გარანტირება, მაშინ ის მაინც შეგვიძლია, რომ ადგილობრივებისთვის ცხოვრება გავაუმჯობესოთ და ეს იქნება უკვე ძალიან დიდი ნაბიჯი წინ.“

ფილიპოვის აზრით, შესაძლოა, შემუშავდეს ოკუპირებული ტერიტორიების წასახალისებელი მეთოდები, რათა მათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის სურვილი გაუზრდეთ.

„ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიზანი იყო, ფოკუსირებული ვყოფილიყავით იმაზე, თუ რისი გაცემა შეიძლება, თუკი რუსეთი იმავე პოზიციაზე დარჩება, როგორც ახლა. შევედრით რამდენიმე ვერსიაზე, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსეთის და ქვეყნების ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას და რომელიც პრობლემებს კი არ შექმნის, არამედ დამატებით შესაძლებლობებს მოიტანს. მაგალითად, მოტივაცია რომ შევუქმნათ ადგილობრივ სეპარატისტულ ერთეულებს, თუ ისინი, ასე ვთქვათ, კარგად მოიქცევიან, დემორჩილებიან საერთაშორისო მოთხოვნებს და არ დაარღვევენ შეთანხმებას, მაშინ ისინი მიიღებენ დამატებით წახალისებას საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. მაგალითად, დაფინანსებას რეკონსტრუქციისთვის, რკინიგზის აღსადგენად, დახმარებას ეკონომიკურ აქტივობებში და ა.შ.“ – თქვა ფილიპოვი.

მან ასევე დასძინა, რომ „არსებობს ბევრი კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს და პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, მარტივად შეგვიძლია წინ გადავდგათ ნაბიჯი, ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად და მათი ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. იმის გამო, რომ ყველა ქვეყანაში (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან დაბალია და ჩვენ რამე უნდა ვიღონოთ, რომ მათ დავეხმაროთ მაშინაც კი, თუ კონფლიქტის გადაჭრის მიმართულებით მდგომარეობა არ შეიცვლება,“ – ამბობს ფილიპოვი.

კვლევის წარმოდგენისას ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსის ან არა-აღიარების პოლიტიკის შეცვლაზე საუბარი არ ყოფილა. ახალ კვლევაზე 16-მა ექსპერტმა იმუშავა და ის სამ ძირითად მიმართულებას: რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურას, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და რეგიონული კონფლიქტების თემას აერთიანებს.

მარიამ უზრახელიძე

## ელჩს მოკლდით ეპოქაშიან



თურქეთში რუსეთის ელჩის ალექსეი ერსოვის განცხადებით, იდლიბში განვითარებული მოვლენების გამო მან მუქარები მიიღო.

„სირიაში ვითარების ესკალაცია შემაშფოთებელია. ჯერ რუსი ოფიცრები დაიღუპნენ, შემდეგ თურქი სამხედროები. თუმცა, ნახეთ რა საშინელი ამბები დაიწყო სოციალურ ქსელებში. არ მინდა, მაგრამ რამდენიმე ციტატას მოვიყვან: „დაემშვიდობეთ სიცოცხლეს“, „არაფერი დაგითრებთ“ და ა.შ. ეს ყველაფერი ერთხელ უკვე მოხდა – ხუთი წლის წინათ. ოღონდ იდლიბის ნაცვლად ალეპო იყო. რითი დასრულდა ეს? „თვითმფრინავის“ კრიზისით და ჩვენი ელჩის ანდრეი კარლოვის მკვლელობით. სხვათა შორის, მეც პირდაპირ მემუქრებოდა. ნუთუ ისტორია არავის არაფერს ასწავლის?“ – განაცხადა თურქეთში რუსეთის ელჩმა.

2016 წლის 19 დეკემბერს რუსეთის ელჩს ანკარაში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრში დაესხნენ თავს და მოკ-

ლეს. მას სიტყვით გამოსვლის დროს 22 წლის სირიელმა მკვლელთა მერტ ალტინტაშმა ესროლა.

## სირიის პარლამენტმა სომეხთა ბანოცილი აღიარა

სირიის პარლამენტმა პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში სომეხების მასობრივი მკვლელობები გენოციდად აღიარა. სირიის საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნული გადაწყვეტილება, დამასკოს და ანკარას შორის უკიდურესად გართულებული ურთიერთობების ფონზე მიიღო.

სირიელმა დეპუტატებმა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „სომეხები, ასირიელები და სხვა ეთნოსები, რომლებიც სირიელი ერის ნაწილი არიან, ეთნიკური წმენდის, მიზანმიმართული მკვლელობების და გენოციდის მსხვერპლი გახდნენ“.

სირიის პარლამენტის სპიკერის საშუალო საბაგის განცხადებით, თურქეთის მიმდინარე აგრესია რასისტულ ოსმალურ იდეოლოგიას ეფუძნება, სომეხების გენოციდი კი ერთ-ერთი ნაწილია. სირიის პარლამენტმა დაადასტურა სირიის მთავრობის თვალთმაქცობაში დაადანაშაულა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ სირიის რეჟიმის გადაწყვეტი-

ლება გულწრფელი არ არის, რადგან წლების განმავლობაში ანკარას სასაკლავოს, სახლიდან მილიონობით ადამიანის განდევნითა და ქიმიური იარაღის გამოყენებით.

## რუსეთის უიჰით სირია 800 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა

1 დეკემბრიდან 800 ათასზე მეტ სირიელს, ძირითადად ქალებს და ბავშვებს, რუსეთის მიერ ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთით განხორციელებული სამხედრო ოპერაციის გამო საკუთარი სახლების დატოვება მოუწიათ. გაეროში ვარაუდობენ, რომ ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება და კიდევ ათასობით ადამიანი საბრძოლო მოქმედებებს თავს თურქეთში შეაფარებს.

რუსეთი სირიის სამოქალაქო კონფლიქტში მხარს ბაზარ ასადის რეჟიმს უჭერს. მანამდე თურქეთი, რომელიც მეამბოხეებს უჭერს მხარს, აცხადებდა, რომ მისი საზღვარი უკვე მილიონზე მეტმა სირიელმა გადაკვეთა.





რაზგი

იტალიას გავუსნარით

საძარტველოს ნაკრებმა რაზგი ევროპის გათამაშებაში ზედზედ ორი გამარჯვების შემდეგ კლასიფიკაციაში პროგრესი განიცადა და იტალიას გადაასწრო.




განახლებულ რეიტინგში „ბორჯღალოსნებს“ 72,70 ქულა აქვთ და მე-12 ადგილამდე აღწევდნენ, პოზიცია კი აპენინელებს გაუცვალეს, რომლებმაც ამავე პერიოდში ექვს ერში ორივე თამაში წააგეს. „სკუადრა აძურასთან“ უპირატესობა ამ დროისთვის მინიმალურია, ხოლო ფიჯისთან ჩამორჩენა ჯერაც სოლიდურია. ...10. არგენტინა - 78,31 ქულა; 11. ფიჯი - 76,21; 12. საქართველო - 72,70; 13. იტალია - 72,04; 14. ტონგა - 71,44;

15. სამოა - 70,72. მოწინავე ათეულში ერთადერთი ცვლილება მოხდა - ირლანდიამ და უელსმა ადგილები გაცვალეს, ხოლო რეიტინგის ლიდერი კვლავინდებურად მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთ აფრიკის ნაკრებია. 1. სამხრეთ აფრიკა - 94,19 ქულა; 2. ახალი ზელანდია - 92,11; 3. ინგლისი - 87,80; 4. ირლანდია - 85,36; 5. უელსი - 84,28; 6. საფრანგეთი - 82,37; 7. ავსტრალია - 81,90; 8. იაპონია - 79,28; 9. შოტლანდია - 78,58. აღსანიშნავია, რომ განახლებული მონაცემებით ყველაზე დიდი რეგრესი რუსეთმა განიცადა, რომელიც მეოცეადა 25-ე საფეხურამდე დაქვეითდა. კობა კობახიძე

კალათხუთი

ლილარდი „ოლ სტარს“ გამოტოვებს

„პორტლენდის“ ლიდერი დამიენ ლილარდი ნბა-ს „ოლ სტარს“ გამოტოვებს. აღნიშნულ ინფორმაციას თავად კალათხუთელი ავრცელებს. „ოლ სტარი“ ნამდვილი ზეიმია, თუმცა, ჯანმრთელობით ვერ გავრისკავ, - განაცხადა ვარსკვლავმა. მან ტრავმა „მემფისთან“ შეხვედრაში მიიღო. ლილარდის ნაცვლად ყველა ვარსკვლავის მატჩში დევიან ბუკერი ითამაშებს.




„ოლ სტარი“ ჩიკაგოში 17 თებერვალს თბილისის დროით დილის 5 საათზე გაიმართება. ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა



ბათუმის სტადიონის მშენებლობა დასრულდა. სამუშაოთა დასრულება შპს „სტადიონმა“ გააგრძელა ახალი ფოტო და ვიდეო, სადაც ჩანს, რომ არენაზე სკამების მონტაჟი უკვე დასრულდა, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა დამზადებული და მექანიკური დაზიანების მიმართ მდგრადი და ცეცხლმედეგია. ამ ეტაპზე გარე პერიმეტრის მოწესრიგება მიმდინარეობს, სადაც 1200 ავტომობილზე გათვლილი საპარკინგე და საზოგადოებრივი სივრცე მოეწყობა. შეგახსენებთ, რომ სარბიელი ზაფხულის დასაწყისში გაიხსნება და უფასო IV კატეგორიის სტანდარტებით აშენებული სტადიონი 20 ათას მაყურებელს დაიტევს.



სანტანდერის „რასინგმა“ გიორგი პაპუნაშვილი ოფიციალურად წარადგინა. მართალია, ჩვენებური ესპანურ გუნდს ჯერ კიდევ იანვარში შეუერთდა და უკვე ორი თამაშით ჩაატარა, მაგრამ ფურნალისტთა წინაშე პირველად ახლა გამოჩნდა.

პაპუნაშვილის განცხადებით, „რასინგის“ გამო რამდენიმე წინადადებაზე თქვა უარი და მისთვის საამაყო ასეთ დიდ გუნდში თამაში. „ძალიან ბედნიერი ვარ და საამაყო ასეთ დიდ კლუბში ყოფნა. რა თქმა უნდა, მქონდა სხვა შეთავაზებები როგორც ესპანეთიდან, ისე სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ ასეთი ისტორიული გუნდის გამო მათზე უარი ვთქვი.



ლა ლიგა 2-ში ადგილის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებთ, მაგრამ ამას მარტო ვერ მოვახერხებთ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მხარდაჭერა. მესმის, რომ გულშემატკივრები იმედგაცრუებულნი არიან, რადგან ბოლო ადგილზე ვართ, მაგრამ ბოლომდე ვიბრძობლებ ჩვენი მიზნის მისაღწევად.

სათამაშო პოზიცია? შემძლია როგორც მარჯვენა ფლანგზე, ისე ცენტრში გამოგადგეთ, მაგრამ ეს მწვრთნელის გადასანჯვეტია. მე მზად ვარ ორივე პოზიციაზე ვითამაშო, - განაცხადა გიორგიმ. შეგახსენებთ, რომ პაპუნაშვილი „რასინგს“ ერთი თვის წინათ სეზონის ბოლომდე იჯარით შეუერთდა. ჩვენებურმა სანტანდერელთა რიგებში სანყისი ორი შეხვედრა გამართა, მაგრამ შემდეგ სამი მატჩი კუნთების დაზიანების მიზეზით გამოტოვა. „რასინგი“ ლა ლიგა 2-ში 27 ტურის შემდეგ 24 ქულით ბოლო ადგილზეა.

მადრიდის „რეალმა“ „პსუ“-ს ჭაბუკი შემტევის კილიან მბაპეს გადაბირებაზე მუშაობა აქტიურად დაიწყო. კასტილიელებს მისი დამატება 100 მილიონ ევროდ სურთ.

თავის მხრივ, ფრანგული კლუბი მზადაა კილიანს სეზონში ხელფასის სახის 50 მილიონი ევრო



გადაუხადოს. აღნიშნულ ინფორმაციას AS.com-ი ავრცელებს. ახლა მბაპეს გასამრჯელო 16 მილიონი ევროა. კილიანს თანამემამულეებთან კონტრაქტი 2022 წლამდე აკავშირებს. მიმდინარე სეზონში შემტევა 28 შეხვედრაში 24 ბურთი გაიტანა და 14 საგოლე გადაცემა შეასრულა.



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალწვეული ოდონ იგალო კარანტიინშია. ფეხბურთელი „ნითელ ეშპაკუნებს“ „შანხაი შენხუადან“ შეუერთდა, მაგრამ ამ დრომდე გუნდთან ერთად არ უვარჯიშია და განცალკევებით ღვრის ოფლს.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, აფრიკელის იზოლაცია 14 დღე გაგრძელდება და ეს იმითაა გამოწვეული, რომ ინგლისურ გრანდში კორონავირუსი აშინებთ. ვინაიდან დებიუტანტი ჩინეთიდან ჩამოვიდა, ფრთხილობენ და ჯერჯერობით უცნობია, როდის გახდება ნიგერიელი მანჩესტერელთა სრულფასოვანი წევრი. ბიორგი შოთაძე

ოლიმპიზმი

საიუბილეოდ ეგზალტაციას

ათი წლის წინათ კანადაში ზამთრის XXI ოლიმპიური თამაშები გაიხსნა. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით 22 თებერვალს ვანკუვერის საგამოფენო კომპლექსში საზეიმო ღონისძიება გაიმართება, რომელ-



შიც მონაწილეობას ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების მედალოსნები მიიღებენ. იქაური ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლიზა ტრიში აღნიშნავს, რომ 2010 წლის ოლიმპიკადა ქვეყნისთვის გარდამტეხი მომენტი გახდა, რამაც „ნეკერჩხლის ფოთლები“ სპორტულ ერადა აღიარა. ვანკუვერში ზამთრის XXI ოლიმპიურ თამაშებს 2010 წლის 12-28 თებერვალს უმასპინძლეს და მასში 82 ქვეყნის 2566-მა ათლეტმა სპორტის 7 სახეობაში მედლების 86 კომპლექტი გაითამაშა. საქართველო სპორტის სამ სახეობაში (სამთო თხილამურები, ფიგურული სრიალი, ციგა) 7 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, ხოლო თამაშების გახსნის დღეს საციგაო ტრასაზე საკვალიფიკაციო დაშვებისას ტრაგიკულად დაიღუპა 21 წლის ქართველი ოლიმპიელი ნოდარ ქუმარიტაშვილი. ბაჟან დოლიძე

ინტერნეტიდან

ივანა+ტატუ

ჩვენი მიერ თქვენს წინაშე ასეთი გამომწვევი ფოტოთი წარმოდგენილი დასურათხატებული ქალბატონი არგენტინელი მოდელი ივანა ნადალია, რომელსაც ლეგენდარულ მეჩოგნესთან გვარის გარდა არაფერი აკავშირებს, სპორტთან კი საერთო საკმაოზე მეტი აქვს. გაგიკვირდებათ და, იგი სამშობლოში რაგბის მატჩების წამყვანობითაცაა ცნობილი და როგორც იქაური სპორტის ქომაგი ამბობენ, მის მიერ კომენტირებული „პუმების“ შეხვედრები საინტერესო და იმდენად ამაღლებელია, რომ ოვალური ბურთის გარდი-გარდმო მორბენალი ჯეელების თამაშის ცქერის გარდა, კაცს სხვა სურვილებსაც გაუჩენს. რაც შეეხება ზემოთ უკვე ხსენებულ „დასურათხატებას“... ამ ბოლო დროს ვნებიან ასულს თინეიჯერთა სენი შეწყურია და ერთობ პიკანტურ ადგილებზე ტატუების კეთებით ირთობს თავს. მანუჩარ ბიორგაძე



# კორონავირუსით გარდასვლილთა რიცხვი 1486-მდე გაიზარდა

დადასტურებულია ინფიცირების 64 429 შემთხვევა. ამ დროისთვის გამოჯანმრთელდა 7 ათასზე მეტი პაციენტი. 180 ათასამდე ადამიანი კი, რომელთაც ინფიცირებულებთან ჰქონდათ კონტაქტი, დაკვირვების ქვეშ იმყოფება.

ახალი კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით საგანგებო შეხვედრა გაიმართა ბრიუსელში. ევროკავშირის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, გააძლიერონ მზაობა და კოორდინაცია ვირუსის ევროპის ტერიტორიაზე გავრცელების პრევენციისთვის. ასევე იზრუნონ იმაზე, რომ არ შეიქმნას მედიკამენტებისა და აღჭურვილობების დეფიციტი. იაპონიის მთავრობა კი ახალი კორონავირუსის დასამარცხებლად 140 მილიონ დოლარს გამოყოფს. აღნიშნული თანხა ინფიცირებულთა მკურნალობასა და სამედიცინო დაწესებულებების ტესტირებისთვის საჭირო სისტემებით აღჭურვას მოხმარდება. ასევე გაიზარდა სამედიცინო ნიღბების წარმოება. ჩინეთში ვირუსის გავრცელების დონის გათვალისწინებით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ახალი კორონავირუსით შესაძლოა, მსოფლიოში, მო-



სახლეობის ორი მესამედი დაავადდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მრჩეველი ირა ლონჯინი, რომელიც ჩინეთში ინფექციის გავრცელებას აკვირდებოდა, აცხადებს, რომ ინფიცირებულთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ოფიციალურად არის ცნობილი.

## კარანტინი ღაარღვია და... დახვრიტეს

ჩრდილოეთ კორეაში კორონავირუსის გამო კარანტინში მოთავსებული სახელმწიფო მოხელე კარანტინის დარღვევის გამო სიკვდილით დასაჯეს. საუბარია სავაჭრო სამინისტროს თანამშრომელზე, რომელიც კარანტინში ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ მოათავსეს. მან საკარანტინო რეჟიმს დარღვია და საჯარო აბანოში მივიდა. სამართალდამცველებმა ის დააკავეს და დაუყოვნებლივ დახვრიტეს.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებას ამ დრომდე ქვეყანაში კორონავირუსის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ დაუდასტურებია. ნებისმიერი პირი, ვინც ქვეყანაში ჩინეთიდან ბრუნდება, კარანტინში თავსდება, ხოლო მათ მიმართ, ვინც კარანტინის რეჟიმს არღვევს, სამხედრო კანონმდებლობას იყენებენ.

# ნიღაბი - საგაფიცო, ნიღაბი - ანატომიური...

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა განცხადებით, თებერვლის მეორე ნახევარში კორონავირუსის მეორე პიკია მოსალოდნელი (პირველი, როგორც ვიცით, დეკემბერ-იანვარში იყო). ამასთან დაკავშირებით ქუჩებში მომრავლდა სახეზე ნიღბიანთა რიცხვი, აფთიაქებშიც ამ დამცველ პირბადეებს შეზღუდულად გასცემენ.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, გვინდა სამედიცინო დამცავ ნიღბებთან და მათი მოხმარების ელემენტარულ წესებთან დაკავშირებით გარკვეული ცნობები მოგაწოდოთ.

ინფექციონისტები დადებითად აფასებენ მოსახლეობის მიერ ერთჯერადი სამედიცინო ნიღბების ტარების პრაქტიკას, რადგან „მათ მოხმარებას რესპირატორული ვირუსული დაავადებების გავრცელების შეზღუდვა შეუძლია“. შეგახსენებთ, რომ რესპირატორულ ვირუსულ დაავადებებთან რიცხვს მიეკუთვნებიან ეგრეთ წოდებული „გაციებები“ (მწვავე ვირუსული ინფექციები), გრიპი, ასევე ახალი ტიპის კორონავირუსი.

ამასთან, ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ ჯანმრთელი ადამიანის დაცვის ხარისხი, რომელსაც ერთჯერადი სამედიცინო ნიღაბი უზრუნველყოფს, მაღალი არ არის. განმარტების სახით უნდა ითქვას, რომ სამედიცინო პერსონალის და ყოფით ვითარებაში მოსახმარად განკუთვნილი სამედიცინო ნიღბები მფილტრავი და წყალშეუღწევი მასალების სამი-ოთხი ფენისგან შედგება. ფილტრები ბიოლოგი-

ური სითხეების, პირველ ყოვლისა, ნერწყვის წვეთებისა და ლორწოს შესაკავებლად და საჭირო. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ნიღბების მთავარი ნაკლი - ესაა ის საკმაოდ დიდი ზონა, სადაც ისინი სახეს მჭიდროდ არ ეკვრის, რის გამო დაავადებული კაცის მიერ ამოსუნთქული ჰაერის დიდი ნაწილი მაინც სვდება ჯანმრთელის სუნთქვის ორგანოებში.

ცოტა ხნის წინათ იაპონიაში საქმიანი ვიზიტის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ჩვენმა თანამემამულე ბიზნესმენმა მიაპბო, რომ იქ, ასევე აზიის მთელ რიგ სხვა ქვეყანაში, მათ შორის, ცხადია, ჩინეთში, ახლა პრაქტიკაში დიდად გავრცელებული ერთჯერადი ანატომიური ნიღბების მოხმარება, რომლებსაც სახის ფორმებისას ამზადებენ, რის გამოც მათი მორგება გაცილებით მოსახერხებელია და იმის ხარჯზე, რომ გარდაცემულ ნაკლებ ჰაერს ატარებენ, გაცილებით მაღალეფექტიანია. მათი შექმნა კი ინტერნეტმაღაზიების მეშვეობითაა შესაძლებელი.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთში ბევრი არაა თუ ანატომიური ნიღბებით, არამედ, სულაც, რესპირატორებით დადიან, რომლებიც დაცვის ხარისხისდა მიხედვით, სამი კატეგორიისაა, რომლებიც ერთმანეთისგან ჰერმეტიკობის ხარისხით განსხვავდებიან, მათგან ყველაზე დაბალი ხარისხის დაცვის დონე, სულ მცირე, 30 პროცენტია.

აღბათ, ურიგო არ იქნება, თუკი სამედიცინო ნიღბის მოხმარების თაობაზე რამდენიმე აუცილებელ რჩევას შემოგთავაზებთ. როდის უნდა გავიკეთოთ ნიღაბი? უპირველესად, დახურულ სივრცეებში, სადაც კორონავირუსით, გრიპითა და ა.შ., დაავადების საშიშროება მაღალია. ასეთებია აეროპორტები, ვაგზის სადგურები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები. ასევე ნებისმიერი ისეთი ოთახები, სადაც ახლოს (1-2 მეტრის მოშორებით) ხვდებიან, ანდა ცხვირის დამცემი ნიღაბი ადამიანები არიან.

გაითვალისწინეთ, რომ შეცდომია ნიღბის ქუჩაში ტარება, რადგან სუფთა ჰაერზე ვირუსები ისედაც სწრაფად იხოცებიან. სიარულის დროს კი, როცა ნიღაბი ხელს უშლის ჰაერის თავისუფლად ჩასუნთქვას, შესაძლოა თავბრუ დაგხვავთ, ანდა ქოშინი აგივარდეთ. მოხმარებისას, საიმისოდ, რომ ნიღაბი სახეზე რაც შეიძლება სჭიდროდ მოგეკრათ, ნაოჭები გაასწორეთ. თუკი ცხვირის არეში ნიღაბს სამაგრი აქვს ჩაკერებული, ის ცხვირის კვხზე უნდა მოირგოთ.

ნიღაბზე ნაოჭები ისე უნდა გაასწოროთ, რომ ცხვირს, პირსა და ნიკაპს გიფარავდეთ.

ნიღაბი დასვრისთანავე უნდა შეეცვალოთ, როცა ის სუნთქვისგან ან ნერწყვისგან დაინამება. დანარჩენ დროს კი - არაუგვიანეს 2 საათის შემდეგ.

და გახსოვდეთ: გამოყენებული ერთჯერადი ნიღაბი მასინვე გადააგდეთ - მისი გარეცხვა და ხელმეორედ გამოყენება არ შეიძლება!

ინსო ალექსანდრია

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ღირსეული პიროვნება, ღვაწლმოსილი ადამიანი, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი



**გიორგი რაჟდენის ძე მიქავა**

იგი დაიბადა 1934 წლის 19 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორულში. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში. დამთავრების შემდეგ სრულიად ახალგაზრდა მუშაობას იწყებს აფხაზეთში, ქ. ტყვარჩელში ქვანახშირის გაერთიანებაში საამქროს უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდგომ გაერთიანების პროფკავშირების თავმჯდომარედ.

1961 წლიდან საცხოვრებლად გადმოდის ქ. ზუგდიდში და მუშაობას იწყებს ენგურჰესის მშენებლობაზე გაერთიანებულ პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდგომ ერთიანი პროფკავშირების თავმჯდომარედ. სწორედ აქ, ამ უდიდეს მშენებლობაზე მრავალათასიან კოლექტივში გამოჩნდა მისი უნარი, ორგანიზატორული საქმიანობა საერთო დიდი ამოცანის გადასაწყვეტად. იყო საქმის ღრმად მცოდნე, ახასიათებდა ადამიანებთან უშუალო სიახლოვე, შრომისმოყვარეობა, მშენებლობის გადამწყვეტ უზნებზე პრაქტიკულად წყვეტდა ყველა წამოჭრილ საკითხს. ამით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, ყოველთვის ჰქონდა კონკრეტული ინდივიდუალური მიდგომა, დაწყებული მშენებლობის ხელმძღვანელობიდან, ცალკეული უბნის უფროსობისადმი, რიგითი მუშებისადმი. შეეძლო, მამის სახელითა და გვარით მიემართა, ამას ბუნებრივია, დიდი შრომა და უძილო ღამეები სჭირდებოდა.

ენგურჰესის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ენერგომომარაგების გენერალური დირექტორის მოადგილედ. საქართველოში მეტად მძიმე პერიოდში, ელექტროენერჯის არამცთუ წყვეტილობა, თითქმის უქონლობა დიდ პრობლემებს ქმნიდა მოსახლეობაში, მიუხედავად ამ სირთულეებისა თავის ხელმძღვანელობასთან ერთად მანაც ახერხებდა ადამიანებისადმი ყურადღებას, დახმარების განევას.

დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პროფსაბჭოს საპატიო სიგელით, საკავშირო ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით გამოცხადებული ჰქონდა მადლობები.

წავიდა ჩვენგან ქვეყნის წინაშე ვალდებულ და დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები, მისი შესანიშნავი ოჯახი, მუდმივ ქალბატონი ლიზა - ექიმ-პედიატრი, ვაჟი შვილი - ცნობილი პიროვნება, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სანტ-პეტერბურგის ბავშვთა საავადმყოფოს გენერალური დირექტორი ავთანდილ მიქავა, შვილები ასევე ლიანა და თამარა ექიმები არიან.

მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დაუვინყარი იქნება.

მეგობრების სახელით:

**ოთარ ფაცაცია, გონდო ჯიქია, გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, იგორ ძოგალია, გურამ ფიფია, თინა ჯღამაძე, იური გუგუჩია, მურმან ნაჭყვია, ნოდარ შარტავა, ზურაბ ზომბოხია, კარლო ვეკუა, ვაჟა ფიფია, თენგიზ შანავა, ფელიქს იზორია, თამაზ ცანავა, სოსო კიდიბა, გივი სოსელია, ნუგზარ ჩიქოვანი, სოსო სოსელია, ზვიად მანია, შუბრი აბაკელია, სერგო გვარამია, თენგიზ ჭითანავა, გული აგუგავა, კოტი წურწუშია, რევაზ ცაავა, რევაზ ნარბანი, თამაზ საბაშვილი, ნუგზარ სართანია.**

მეუღლე ლიზა, შვილები ავთანდილ, ლიანა, თამარა, რძალი ელენა მიქავა, სიძეები გენო დადვანი, ვასო ქვარაია, შვილიშვილები დიმიტრი, ალექსანდრე, მარიამი, ნიკოლოზი, ანა, ლიზა, გიორგი, დავითი, მარიკა ღრმა მწუხარებით იუნწყებიან

**გიორგი რაჟდენის ძე მიქავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 17 საათზე. დაკრძალვა 18, 15 საათზე. მისამართი ქ. ზუგდიდი, თბილისის №16.

ოთარ ფაცაცია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაიცვალა უკეთეს შობილესი, საქმისადმი ერთგული და მეგობრობაში გამორჩეული ადამიანი

**ნუგზარ იზორია**

დასამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

სამკრთველს რისხვლია

**11**

# ქართველები პარიზის ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაზე



პარიზში არტ კაპიტალის ექსპოზიციის ფარგლებში 9 ქართველი ხელოვანის ნამუშევარი გამოიფინა. მსოფლიო მნიშვნელობის გამოფენის ორგანიზატორები არიან „ფრანგ ხელოვანთა ასოციაცია“, რომელიც დაარსდა მეფე ლუი XIV -ის პრემიერ-მინისტრის ჟან-ბატისტ კოლბერის მიერ. აჭარის რეგიონი წელს პირველად იყო წარმოდგენილი პარიზში, არტ კაპიტალზე, როგორც საპატიო სტუმარი.

არტ კაპიტალი წარმოადგენს საფრანგეთში ყველაზე მასშტაბურ მულტინაციონალურ კულტურულ ღონისძიებას, რომელიც იწვევს კოლექციონერების


და პროფესიონალების მუდმივ ინტერესს. ამ გამოფენას 11 ათასი ადამიანი სტუმრობს ყოველდღიურად. ეს არის თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო სივრცე, სადაც ეცნობიან განსხვავებული ხედვების მქონე ნამუშევრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

გამოფენის მიმდინარეობისას დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული ღვინის დეგუსტაციამ და საქართველოდან წაღებული მასალამ, რომელიც საქართველოს ტურისტული პოტენციალის პრომოუშენს ეძღვნებოდა. საფრანგეთიდან მზარდი ტურისტების ნაკადი, რომელიც სწორედ ქართული კულტურის გასაცნობად მოდის და ეს გამოფენა მათთვის კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენა გახდა. ემოციური იყო ქართული ემიგრაციის მრავალრიცხოვანი მაცურებლის დასწრება, რომელთათვისაც ეს ღონისძიება ქართული კულტურის პოპულარიზაციის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

ბათუმელი მხატვრები: აკაკი ძნელაძის, ბექა ბოლქვაძის, ბესო ბესელიას, ირინა ტორონჯაძის, სპარტაკ კუდბას, მაია ჭყონიას და კახა ნიჟარაძის მრავალფეროვანმა ნახატებმა დამთვალეობა დაიწყო. ფრანგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გაეცნობოდა ამიკო ქავთარაძის ფოტოგრაფიას და დარე-

ჯან ბერეკაშვილის სკულპტურებს. არტ კაპიტალი 2020 წელს იმართება საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის მაღალი პატრონაჟით.

„ფრანგ ხელოვანთა ასოციაციის“ საშუალებით გაითქვა სახელი ისეთმა ხელოვანებმა, როგორებიც არიან დელაკრუა, როდენი, მანე, კლოდელი, ბარტოლდი, სეზანი, სალვადორ დალი, ტულუზ ლოტრეკი, ვან გოგი და სხვები. ასოციაციის მიერ მონეული ხელოვანები ექსკლუზიურად იფინებიან 1901 წლიდან პარიზის ისტორიულ მონუმენტში, ცნობილი როგორც გრანდ პალე „Grand Palais“ დიდრო და ბოდლერი ქმნიდნენ გამოფენის ქრონიკებს და სრულად ასახავდნენ გამოფენის სიახლეებს და აღმოჩენებს.



## პანისქალის ღვთისმშობლის ეკლესიის რესტავრაცია ჩაუტარდა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვითა და ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვანისქალის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა. ტაძარი იმყოფებოდა უმძიმეს მდგომარეობაში, დაზიანებული იყო კონქი და კამარა, სასურავი სრულად იყო ჩამოშლილი, ხოლო კედლების დიდი ნაწილი დაზარალებული და თითქმის ჩამოშლილი.

სამუშაოები ჩატარდა არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ: აღდგა და გადაეწყო დაზიანებული კედლები, პილასტრები, თლილი ქვით აღდგა კონქი და კამარა, იატაკი დაეგო ქვიშაქვის თლილი ფილებით, მოეწყო ხის კარ-სარკმლები, ამბიონი და სოფელა მოეწყო ქვიშაქვის თლილი ბლოკებით, ტაძარი გადაიხურა თუნუქით, ლორფინის იმიტაციით. ეკლესია დარბაზულია. აგებულია XIX საუკუნეში. ნაგებია ნატეხი ქვით დულაბზე. კუთხეებში დეკორატიულობისთვის ნახმარია გათლილი კვადრები. ასევე გათლილი ქვის საპირეები აქვს სარკმლებს.

## მოგმართავთ გაზეთის მკვლევართა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.  
(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

## ანტარქტიდაზე რეკორდული სიბრტყე აღინიშნა!

ანტარქტიდაზე რეკორდული სიბრტყე – 20,75 გრადუსი აღინიშნა. ბრაზილიელმა მეცნიერმა კარლოს შეიფერმა სააგენტო „ფრანს პრესს“ განუცხადა, რომ ანტარქტიდაზე მსგავსი სიბრტყე არასდროს ყოფილა. გასულ კვირას ანტარქტიდაზე ასევე რეკორდული სიბრტყე აღინიშნა, როდესაც ტემპერატურამ 18,3 გრადუსს მიაღწია.



კარლოს შეიფერმა აღინიშნა, რომ მონაცემების გამოყენება სამომავლოდ კლიმატური ცვლილებების პროგნოზირებისთვის შეუძლებელია, თუმცა ეს არის სიგნალი, რომ ამ ზონაში რაღაც განსხვავებული ხდება.

გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციით, ბოლო 50 წელიწადში ანტარქტიკის კონტინენტზე ტემპერატურა სამი გრადუსითაა მომატებული და დასავლეთ სანაპიროზე მყინვარების 87 პროცენტმა „უკან დაიხია.“ გაეროს ცნობით, გლობალური დათბობის გამო, ბოლო 12 წელიწადში მყინვარების „უკან დახევის“ პროცესი დაჩქარებულია.

## პალანტიონის საჩუქარი მუშაობს ქალაქს

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ანონიმური მხატვარმა ბენქსიმ მშობლიურ ქალაქ ბრისტოლს ვალენტინობაზე საჩუქარი გაუკეთა. ბარტონ-ჰილის რაიონში ერთ-ერთი შენობის კედელზე მან ახალი გრაფიტი დახატა, რომელზეც გოგონა შურდულით ხელში კედელს ყვავილებს ესვრის. შენობის მესაკუთრის კელი ვუდრაფის განცხადებით, ის ძალიან ბედნიერია, რომ ბენქსიმ თავისი ნახატისთვის სწორედ ამ შენობის კედელი აირჩია.

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS RESPUBLIKA**

ბ. ჩიქოვას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5  
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი  
**სპარტაკ კუდბაძე**  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიანაშვილი**  
599 53-76-16;  
**ალექს**  
**ასლანიშვილი**  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
**მამუკა ვაშაქიძე**  
514 33-33-24

**გამომცემელი:**  
შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 53-76-16; 599 36-00-35  
შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესი**“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

**ავტორთა საზურაღდეოდ!**

**რედაქციის მიერ შუამდგომლობის მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.**

**ავტორთა მოსაზრებები, შესაქმნა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაჭიბვის სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“**  
**შენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!**

	<b>უსსოური ვალუტის კურსი:</b> აშშ დოლარი - 2.8741; ევრო - 3.1270; ბრიტანული პირაპნა სტერლინგი - 3.7314; 100 რუბლი - 4.5141; თურქული ლირა - 0.4748; აზერბაიჯანული მანათი - 1.6924; 1000 სომხური დრამი - 5.9940.	<b>აინდი 15 თებერვლისთვის</b> <b>აღმოსავლეთი საქართველო:</b> ბარსი - ლაშქ -4, ღვ - +6 შიშანი რაიონი - ლაშქ -12, ღვ - +2 <b>დასავლეთი საქართველო:</b> ბარსი - ლაშქ -1, ღვ - +13 შიშანი რაიონი - ლაშქ -10, ღვ - +7 თბილისი: ლაშქ -5, ღვ - +5	<b>დაგვიკავით, მოგვწერათ:</b> ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
--	---	---	--